

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

გამომძიებლის როლი სისხლის სამართლის პროცესში

დავით რაზმაძე

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 0156

საქართველო

2019

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დავით რაზმაძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „გამომძიებლის როლი სისხლის სამართლის პროცესში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი/...../...../...../

ხელმოწერები:

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს გამომძიებლის ადგილი და როლი სისხლის სამართლის პროცესში, გამოძიებესთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცესუალური თავისებურებები, აგრეთვე ის პრობლემები რაც გამოძიების პროცესს ახლავს თან და შესაბამისად მათი აღმოფხვრის მექანიზმები.

ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილ 65 გვერდზე, ნაშრომი შედგება 3 თავისაგან, შესაბამისი ქვეთავებით, მოიცავს შესავალს, ავტორის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის სიას.

შედეგები და მათი განსჯა მოიცავს ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სამეცნიერო კვლევის საგნის ირგვლივ. კერძოდ, საუბარია გამომძიებელზე, როგორც ბრალდების მხარეზე, როგორც თანამდებობის პირზე და მის უფლება - მოვალეობებზე, ასევე ვალდებულებაზე - აწარმოოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება.

ნაშრომი მოიცავს გამომძიებლის ინსტიტუტთან დაკავშირებულ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო - სამართლებრივ რეგულაციებს, ნაშრომში ასახულია გამოძიებასთან დაკავშირებული დებულებები, სახელმწიფო ბრალმდებლის თანამშრომლობა გამოძიებასთან და უშუალოდ გამომძიებელთან, ბრალდების მხარის ფუნქციის არსი, ზოგადად სისხლის სამართლებრივი დევნის ინსტიტუტი, ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა არსებულ სფეროში და მასთან დაკავშირებული თავისებურებები.

ნაშრომში ასახულია გამოძიების სტადიაზე შეჯიბრებითობის პრინციპის არსი, ასევე ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორიცაა დაკითხვა, ჩხრეკა, ამოღება, ამოცნობა და ა.შ.

ნაშრომში ასახულია გამომძიებლის და ზოგადად, გამოძიების ინსტიტუტი, ასევე საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებში და მათი შედარებითი ანალიზი თანამედროვე საგამოძიებო პროცესებთან.

ნაშრომის მეორე თავი მოიცავს გამომძიებლის და გამოძიების ორგანიზაციის ეტაპებს დამოუკიდებელ საქართველოში, კერძოდ გამომძიებლისა და გამოძიების ინსტიტუტს საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. ჩამოყალიბებულია საპროცესო კანონმდებლობით წინასწარი გამოძიების რამოდენიმე საგამოძიებო ორგანოსთან დაქვემდებარების საკითხი, ასევე ყველა გამომძიებლისათვის თანაბარი უფლება მოვალეობებით აღჭურვას დამოუკიდებელი

საგამოძიებო მოქმედებების შესრულების პროცესში. ამავე თავში განვიხილე მართლმსაჯულების კანონიერად განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების აუცილებლობა. ასევე არ დაეშვათ უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემა, რეალურად დანაშაულებრივი ფაქტის დადგენა, მოქალაქეთა დაცვა, გამოძიების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსწორება და სისხლის სამართლის პროცესში ყველა მონაწილისათვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ამავე თავში განვიხილე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პირველი, დამოუკიდებელი ეტაპი, რასაც წინასწარი გამოძიება ეწოდებოდა. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ მიღებული ინფორმაცია ექვემდებარებოდა გადამოწმებას და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა უფლებამოსილი ორგანოს და ხელმძღვანელი პირის მიერ, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, გამოეტანათ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. აქვე განვიხილე სისხლის სამართლებრივი დევნის სახეები, ფართოდ წარმოვაჩინე გამომძიებლის სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელი არ წარმოადგენდა ბრალდების მხარეს, ის უფლებამოსილი იყო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განეხორციელებინა სისხლის სამართლებრივი დევნა, ეწარმოებინა წინასწარი გამოძიება, გამოძიების პროცესში საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ გადანყვეტილება მიეღო დამოუკიდებლად. გამომძიებლის უფლებას წარმოადგენდა ასევე, არსებული და საკმარისი მტკიცებულებების შემთხვევაში, პირისათვის წარედგინა ბრალდება.

ამავე თავის ქვეთავში განვიხილე შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების სტადიაზე, იმ სამართლებრივი რეფორმების შედეგად, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო 90-იანი წლების ბოლოს, რითაც საბოლოოდ უარი ეთქვა იმ დრომოჭმულ პროცესს, სადაც ადამიანის უფლებების დაცვა თითქმის შეუძლებელი იყო. არსებული ცვლილებებით სისხლის სამართლის საპროცესო ისტორიაში, პირველად, ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ჩამოყალიბდა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც მხარეთა თანასწორობის საფუძველზე ხორციელდებოდა. აღნიშნულ ცვლილებაში დავაფიქსირე საკუთარი აზრი კოდექსის 25-ე მუხლი მიმართ, კერძოდ, მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომელიც გამომძიებლის დამაზუსტებელ შეკითხვას ეხება, ვფიქრობ, კანონმდებლის მიერ ასეთი სიფრთხილის გამოჩენა საჭირო არ იყო. დამაზუსტებელი კითხვა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მხარეთა შეკითხვების ამონურვის შემდეგ. თუ მოსამართლეს, რომელმაც უნდა თქვას საბოლოო სიტყვა, აღნიშნულ უფლებას წავართმევთ, მას ამავედროულად ვართმევთ უფლებას, მიიღოს საბოლოო გადანყვეტილება შინაგანი რწმენის საფუძველზე.

როგორც ჩატარებული კვლევები და არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, თამამად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გამომძიებელს გარდა პროფესიონალიზმისა, საპროცესო უფლებამოსილებები თითქმის აღარ გააჩნია, ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია, გამომძიებლის პროფესიონალიზმისათვის აუცილებელი პირობები და მოთხოვნები გაიწეროს საპროცესო კანონმდებლობაში. მაგალითად, უმაღლესი იურიდიული განათლება, სავალდებულო სტაჟირების ვადები და ა. შ.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოღებული ისეთი სახის ინსტიტუტები და თანამდებობები, როგორებიცაა „დეტექტივ-გამომძიებელი“, „დეტექტივ-გამომძიებლის თანაშემწე“, „ინსპექტორ-გამომძიებელი“ და სხვა. აღნიშნული პირებისათვის სასურველია საპროცესო კოდექსით, ჩამოყალიბდეს ის კონკრეტული უფლება-მოვალეობები, რის ფარგლებშიც ისინი შეიძლება თავიანთი საქმიანობის განხორციელებას. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, დავადგინე, რომ თბილისის პროკურატურაში და მასზე დაქვემდებარებულ რაიონული პროკურატურების ორგანიზაციულ საკითხებს, სხვადასხვა პრობლემები ახლავს თან. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, გლდანი-ნაძალადევის და დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურები. ორივე მათგანს ჰყავს პროკურორთა თანაბარი რაოდენობა, მაშინ როდესაც, საქმეთა რაოდენობის მხრივ, 3-ჯერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნული პრობლემა დროულ გადაწყვეტას მოითხოვს.

აღნიშნული თავი დავასრულე მოთხოვნით, რომ ჩვენი კანონმდებლობა მოითხოვს სხვადასხვა სახის ცვლილებებს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, გამომძიებლისათვის უფრო ფართო უფლებების მინიჭების აუცილებლობა, რათა მან მოახერხოს საწმის სწორად და დროულად გამოძიება.

ნაშრომის მესამე თავში განვიხილე გამომძიებლის სტატუსი და უფლებამოსილება ცალკეულ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებისას, ზოგადი დებულებები საგამომძიებო მოქმედებათა შესახებ. შევეხე ისეთ საგამომძიებო მოქმედებებს, როგორებიცაა გამოკითხვა და რასაც ითვალისწინებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი. გამოძიების პროცესში მხარეებს უფლება აქვთ, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად და მათთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად, ჩაატარონ გამოკითხვა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დადგენილია პირის გამოკითხვის წესები. ასევე შევეხე ჩხრეკას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და კონკრეტული პიროვნების უფლებებთან საკმაოდ მტკივნეულ საგამომძიებო მოქმედებას. ჩხრეკის საკანონმდებლო მიმოხილვას, მისი შედარებითი ანალიზი ძველი და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ასევე ის აუცილებელი ფაქტები, რაც ხდება ჩხრეკის ჩატარების საფუძველი. ამავე თავში

განვიხილეთ ევროპული სასამართლოს მიდგომა, თუ რამდენად აუცილებელია არსებული ინფორმაციის საფუძველზე და რა სტანდარტებია საჭირო ჩხრეკის ცასატარებლად.

გარდა ამისა, შევხვდეთ ასევე ამოღებას, როგორც საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც ატარებს იძულებითი ღონისძიების ხასიათს, რომ ამოღება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს და მისი ჩატარება მიმართულია მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებასაკენ. განვიხილეთ ამოღების სამართლებრივი საფუძვლები და ის სპეციფიური წესები, რომელიც დადგენილია დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში ან უშუალოდ, დიპლომატიურ წარმომადგენელთან.

ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა სახის ხარვეზები ამ სფეროში და ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია ის შესაძლო ცვლილებები, რაც სასურველია გათვალისწინებულ იქნას კანონმდებელთა მიერ აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

Resume

The purpose of this work is to show place and role of investigator in criminal trial, various procedural characteristics connected to investigation, and also those problems which accompany investigation process and correspondingly, mechanisms of their overcoming. Work consists of 65 pages typed on computer, with corresponding subchapters, it includes introduction, results gained after scientific research conducted by author and their discussion, conclusion, list of used literature.

Results and their discussion include opinions expressed by author around subject of scientific research. Particularly, we speak about investigator, as about the party of prosecution, as about official and his rights and obligations, and also about his obligation to conduct comprehensive, full and objective investigation.

The work includes as national, so international legal regulations connected to the institute of investigator, in the work there are expressed provisions connected investigation, cooperation of public prosecutor with investigation and directly with investigator, essence of function of prosecution party, and generally institute of criminal prosecution, and also legislation of various foreign countries in the existed sphere and connected to it characteristics.

In the work there is expressed essence of competition principle on investigation stage, and also such investigative actions as examination, search, withdrawal, identification etc.

In the work there is expressed institute of investigator and investigation in general, and also in separate foreign countries and their comparative analysis with modern investigative processes.

Second chapter of the work includes stages of organization of investigator and investigation in independent Georgia, particularly, institute of investigator and investigation in the first Code of Criminal Procedure of Georgia. There is formed the question of subordination of

preliminary investigation to several investigative bodies according to the Code of Procedure, and also awarding of equal rights -obligations to all investigators in the process of realization of investigative actions. In the same chapter I have examined necessity of corresponding conditions for legal realization of justice. And also not to allow innocent person to be charged with liability, establishment of really criminal fact, protection of citizens, correction of mistakes made in investigation process and protection of rights and freedoms for all participators in criminal trial.

In the same chapter I have examined the first, independent stage of bringing of criminal case, called preliminary investigation. It's essence was in the following: that received information was subject to rechecking and only afterwards authority and head person, on the basis of existed materials, made decision on bringing of criminal case. Here I have also examined types of criminal prosecution, I have widely demonstrated status of investigator despite of the fact that investigator was not party of prosecution, he was authorized to realize criminal prosecution within frameworks of his own competence, to conduct preliminary investigation, to independently make decision on conduction of investigative actions in investigation process. Investigator also had a right to bring accusation against person in case of existence of satisfactory evidences.

In the subchapter of the same chapter I have examined principle of competition on investigation stage, in result of those legal reforms which began in independent Georgia by the end of 90th by which the old process where protection of human rights was almost impossible was finally refused. By existed changes in the history of criminal trial, for the first time there was formed principle of competition as one of the basic principles which was realized on the basis of parties' equality. In the mentioned change I have fixed my own opinion about 25th article of the Code, particularly, request of the second part concerning specifying question of investigator, I think that legislation should not contain such caution. Specifying question the judge shall have after ending of parties' questions. If the judge who shall tell the final word is deprived of this right, simultaneously we will deprive him of right to make decision on the basis of internal belief.

As it is showed by conducted research and practice, we can bravely note that investigator almost does not have procedural authorities any more, except of professionalism, that's why I think that it is necessary to write in procedural legislation conditions and requirements needed for professionalism of investigator. For example, higher juridical education, period of mandatory probation etc.

Neither critics can be withstand by such institutes and positions as "detective-investigator", "assistant detective-investigator", "inspector-investigator" etc. introduced by the Ministry

of Internal Affairs. Procedural code shall form those concrete rights and obligations for the mentioned persons within frameworks of which they will be able to realize their activities. In result of research conducted by me I determined that various problems accompany organizational questions in Tbilisi Public Prosecutor's Office and subordinated to it district prosecutor's offices. Obvious examples for this are offices of public prosecutor of Gldani-Nadzaladevi and Didube-Chugureti. Both of them have equal number of prosecutors, when from the standpoint of number of cases they differ from each other three times. This means that the mentioned problem requests timely solving.

The mentioned chapter I completed with request that our legislation needs various changes, I think it is purposeful to award more rights to investigator in order he could correctly and timely investigate the case.

In the third chapter of work I examined status and authority of investigator during realization separate investigative actions, general provisions on investigative actions. I mentioned such investigative actions as examination and what is provided by applicable criminal code. In the process of investigation parties have right to conduct examination in order to establish circumstances necessary for the case and to get information necessary for them. Code of Criminal Procedure determined rules of examination of a person. I also touched search, as one of the actual and quite painful for rights of concrete person investigative action. Legislative review of search, it's comparative analysis according to the old and applicable legislations, and also those necessary facts which become basis for conduction of searching. In the same chapter I reviewed approach of European Court, how necessary the search is on the basis of existed information and what standards are needed to conduct the search.

Besides, I touched withdrawal as investigative action that has character of forced measure, that withdrawal is subject to forensic control and its conduction is directed toward obtaining of significant proves. I examined legal bases of withdrawal and those specific rules which are established in the building of diplomatic representation or directly by diplomatic representative

In result of research conducted by the author there are discovered various defects in this sphere and there are formed and grounded those possible changes which can be provided by legislators for correction of the mentioned defects.

შინაარსი

შესავალი.....	11
ლიტერატურის მიმოხილვა.....	14
შედეგები და მათი განსჯა	
თავი1. ზოგადი თეორიული პრობლემები	
1.1.გამომძიებელი და გამოძიების ორგანიზაცია მოქმედ სისხლის სამართლის პროცესში.....	16
1.2. გამომძიებლისა და გამოძიების ორგანიზაცია ცალკეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	22
თავი2. გამომძიებლისა და გამოძიების ორგანიზაცია და ეტაპები დამოუკიდებელ საქართველოში	
2.1. გამომძიებლისა და გამოძიების ინსტიტუტისაქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.....	27
2.2 შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების სტადიაზე.....	31
2.3. საკითხის დასმა.....	39

თავი 3. გამომძიებლის სტატუსი და უფლებამოსილება ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარებისას

3.1. ზოგადი დებულებები საგამომძიებლო მოქმედებათა შესახებ.....	44
3.2. გამოკითხვა.....	46
3.3. ჩხრეკა.....	51
3.4. ამოღება.....	55
დასკვნა.....	61
გამოყენებული ლიტერატურა.....	64

შესავალი

თემის კვლევის აქტუალობა. არავისთვისაა უცხო, რომ საქართველო უდიდესი წარსულის და გამოცდვების მქონე ქვეყანაა, რომელიც მუდმივად განვითარებაშია. საქართველოში მაცხოვრებელი თითოეული ადამიანის მთავარი მოთხოვნელია, უსაფრთხოების განცდა. ეს კი პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გამოძიების მაღალ სტანდარტებთან. აღნიშნული მხოლოდ მაშინ არის რეალური როცა სახელმწიფოს ჰყავს ძლიერი სამართალდამცავი ორგანოები.

ქვეყნის ინტერესების და ადამიანის უსაფრთხო ცხოვრებასთან დაკავშირებულია თითოეული საქმის გამოძიება და შესაბამისი შედეგის დადგომა რასაც უზრუნველყოფს გამომძიებელი და პროკურორი.

გამომძიებელი და პროკურორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ყველა სახელმწიფოში და აუცილებელია მათი სრულყოფა, რადგან გამოძიების ხარისხი ამაზგა

დამოკიდებული. ამის შემდეგ მოქალაქეებს უჩნდებათ უსაფრთხოების განცდა, რაც სახელმწიფოსთვის დადებით მხარედ მიიჩნევა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა მხარეთა შეჯებრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე დამყარებულ სისხლის სამართლის პროცესს, სადაც მთავარი ყურადღება გადატანილია ბრალეებისა და დაცვის მხარეთათვის თანაბარი პირობების შექმნაზე.

აღნიშნული კოდექსის შემუშავებაზე მუშაობდნენ, როგორც სახელმწიფო ასევე არასამთავრობო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული ისეთი ინსტიტუციონალური სიახლეები, როგორცაა : შეჯებრებითობის პრინციპის დაცვა, პროკურორთა დისკრეციული უფლებამოსილებანი, მტკიცების თანამედროვე სტანდარტები, ბრალდებულის სტატუსის შექმნა, წინა სასამართლო სხდომდე მხარეების მიერ არსებული მასალების გაცვლა, მოწმეთა ნებაყოფლობითი გამოკითხვა გამომძიებლის მიერ, საპროცესო ვადების შემცირება.

თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული სხვადასხვა სიახლეები. ახალი საპროცესო კოდექსის ძალით ქართული მართლმსაჯულების სისტემა უარყო კონტინენტური სამართლის ქვეყნები და მიზანშეწონილად მიიჩნია გადასულიყო საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივ დოქტრინებზე.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამჟამადაც განიცდის რეფორმას, რაც მნიშვნელოვნად ანრკოლებს დანაშაულის მასშტაბებს და

ბლოკავს ახალი სახის დანაშაულებს. აქედან გამომდინარე შევეცადე შეცხებოდი გამომძიებლის მომზადების ხარისხს და მისი უფლებების ფარგლებს.

პროკურორი/გამომძიებელი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში დგას. მას ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაკისრებული აქვს უფრო მეტი ვალდებულებები ჰქონდა, გაზრდილი აქვს უფლებამოსილებები. ეს კი იმის ხარჯზე მოხდა, რომ ფუნქციათა უმრავლესობა გამომძიებლიდან გადავიდა პროკურორთან. ნაშრომში შევეცადე განმეხილა რამდენად არის აღნიშნული ფაქტი გამართლებული და მისაღები.

სამაგისტრო თემის კვლევის ობიექტს, საგანს და მის წინაშე მდგარ მიზანს წარმოადგენენ შემდეგი საკითხები :

1. გამომძიებლის როლი და მისი საქმიანობის შეფასება საქართველოს სახელმწიფო სისტემაში.
2. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, გამომძიებლის კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის ობიექტური შეფასება
3. გამოძიების ორგანიზაციული და პროცესუალური თავისებურებების ასახვა და არსებული პრობლემების გაშუქება, შესაბამისად მათი გადაჭრის გზები.
4. შედარებითი ანალიზი საქართველოში გამომძიებლისა და გამოძიების ორგანიზაციულ პროცესუალური თავისებურებებისა, საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნების კანონმდებლობასთან მიმართებაში.
5. გამოძიების სტადიაზე შეჯიბრებითობის პრინციპის წარმოჩენა.

ნაშრომის კვლევის მეთოდსწარმოადგენს თეორიული ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურის, სხვადასხვა პრაქტიკული საქმიანობის და ინტერნეტ საიტების საშუალებით მიღებული მონაცემების დამუშავება - განზოგადება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ის სირთულე, რის გამოც აუცილებელი გახდა ისტორიული, შედარებით - სამართლებრივი და სხვა მეთოდების გამოყენება, რომელთა დახმარებითაც შევძელი მრავალი საინტერესო მასალის მოპოვება სამაგისტრო თემასთან დაკავშირებით.

სამაგისტრო თემის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს უპირველესად საქართველოს კონსტიტუცია და ნორმატიული მასალა, სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომები, პუბლიკაციები, ინტერნეტ მასალები, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა და ა. შ.

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში, არ არსებობს კონკრეტული, ფუნდამენტური ნაშრომი ამ მიმართულებით, მე კი მსურს, ჩემი კვლევით თავი მოვუყარო იმ საკითხებს, რაც ეხება გამომძიებლის ინსტიტუტს, ასევე ჩამოვყალიბე ის შესაძლო სიახლეები, რაც ახლო მომავალში შეიძლება დაიგეგმოს აღნიშნულთან დაკავშირებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს თემის დამუშავებამდე არსებული ლიტერატურის გაცნობა - გამოყენება. ეს არის პირველ რიგში ქვეყნის უზენაესი კანონი - კონსტიტუცია, ასევე სხვადასხვა სტატიები, მონოგრაფიები, ნორმატიული მასალები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული ლიტერატურის გამოყენებით, შევძელი იმ ძირითადი საკითხების ჩამოყალიბება, რაც დასახელებულ ნაშრომს ეხება.

რაც შეეხება ნორმატიულ მასალას, ესენია: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე აქტიურად გამოვიყენე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, რომელშიც ცალსახად ასახულია ნორმის შინაარსი და სხვა და სხვა პრაქტიკული მაგალითები.

განსაკუთრებული დახმარება გამიწია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილის გამოყენებამ, მ. მამნიაშვილის, ჯ.გახოკიძის, ი.გაბისონიას ავტორობით, ასევე გ. თუმანიშვილის სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თ. ლალიაშვილის სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), დ. სართანია, ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მის მიერ გამოცემული შრომები. თითოეული მათგანი ნათლად მოგვითხრობს სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელ პრინციპებზე, რაც პირდაპირ კავშირშია გამომძიებლისა და გამოძიების ინსტიტუტთან. ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ასახულია კონკრეტული პერიოდისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ზოგადი ნაწილის შესწავლა - დამუშავების შემდგომ, მიზანშეწონილად მივიჩნიე კონკრეტული საკითხების დამუშავება, რაშიც აქტიურად დამეხმარა ა. ფალიაშვილის „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები“, „სისხლის სამართლის პროცესი“, მ. ლომსაძე, გ. თუმანიშვილი - „შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში“, გ. აბაშიძე - „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“.

ჩემს მიერ დასახელებული ნაშრომები დამეხმარა გამომძიებლის უფლებებისა და მოვალეობების, შესაბამისად ვალდებულებების ფარგლების, ასევე გამოძიების ინსტიტუტის და საგამომძიებო მოქმედებების შესწავლაში.

გარდა აღნიშნული ლიტერატურისა, აქტიურად გამოვიყენე ინტერნეტ საიტები, სადაც მოვიძიე იმ ხარვეზების ნუსხა, რომელიც პრობლემად ითვლება დღევანდელ კანონმდებლობაში.

შედარებითი ანალიზისათვის გამოვიყენე საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი ნორმებიც, ასევე უცხოელი მეცნიერ - იურისტების ნაშრომები, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული ის რეალური განსხვავებები, რაც დამახასიათებელია კონკრეტული ქვეყნებისათვის. ასევე გავეცანი და გამოვხატე საკუთარი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი.

შედეგები და მათი განსჯა

თავი 1. ზოგადი თეორიული პრობლემები

- 1.1. გამომძიებელი და გამოძიების ორგანიზაცია მოქმედ სისხლის სამართლის პროცესში**

როგორც ყველასთვის ცნობილია, ბრალდების მხარეს წარმოადგენენ გამომძიებელი და პროკურორი. სისხლის სამართლის საქმეში, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებამდე, არის მხოლოდ ერთი მხარე, ¹ბრალდების მხარე. გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. მიზნის მისაღწევად, ის უფლებამოსილია ჩაატაროს ყველა საჭირო საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს წარმოადგენს პროკურორი, რომელიც უფლებამოსილია გამომძიებელს მისცეს სათანადო მითითებები, ასევე გააუქმოს გამომძიებლის მიერ მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები და საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან არდაწყების შესახებ.¹

გამომძიებლის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, კერძოდ, დანაშაულის ფაქტის და დამნაშავე პირის დადგენა. გამოძიებას ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს გამომძიებლები. უწყებრივი ქვემდებარეობის მიუხედავად, გამოძიების მიმდინარეობისას, ყველა მათგანს თანაბარი უფლებამოსილება გააჩნია. თითოეული მათგანის მიერ ჩატარებულ საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებას, თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

გამომძიებლის ვალდებულებას წარმოადგენს აწარმოოს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება. პროცესის მონაწილე ყველა მხარე უფლებამოსილია აწარმოოს გამოძიება, მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი ან მისი გამამართლებელი მტკიცებულებები.

¹საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ, 2015, გვ.171

იმისათვის, რომ გამომძიებელმა დაადგინოს დამნაშავეს ვინაობა, იგი უფლებამოსილია ჩაატაროს სხვადასხვა საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესახებაც გადანწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. გამომძიების საპროცესო ზედამხედველობის ფუნქცია პროკურორს ანიჭებს უფლებას, გამომძიებელს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები. ამ მიმართულებით პროკურორის უფლებები შეზღუდულია და აქ იგულისხმება მითითებების მიცემა, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით.

თუ გამომძიებელი არ ეთანხმება ხელმძღვანელი პროკურორის შენიშვნას ან მითითებას, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია მიმართოს ზემდგომ პროკურორს. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად და არგუმენტების სისწორის დასადასტურებლად, გამომძიებელს შეუძლია ასევე, ზემდგომ პროკურორს წარუდგინოს სისხლის სამართლის საქმე და გააცნოს თავისი მოსაზრებები. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს მისთვის მინიჭებული უფლებებიდან ერთ - ერთი, კერძოდ, ან გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება, ან საქმე სხვა გამომძიებელს გადასცეს.²

ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორის მითითების გაუქმებას, ან საქმის სხვა გამომძიებლისათვის გადაცემას რა საფუძველი შეიძლება დაედოს, უცნობია, თუმცა შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ყოველივე აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ: მითითება უკანონოა და დაუსაბუთებელი.

თუ ორივე პირობა აშკარად გამოხატულია, ეს შეიძლება მითითების გაუქმების საფუძველიც გახდეს.

²გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2014

გამომძიებელი საკმაო თვართო უფლებამოსილებით სარგებლობა გამოძიების პროცესში. მას უფლება აქვს სსკ-ის მოთხოვნათა დაცვით, დანაშაულის ჩადენისა და დამნაშავე პირის დასადგენად, ჩაატაროს სხვადასხვა სახის საგამომძიებო და საპროცესო მოქმედება, რასაც სჭირდება მოსამართლის ნებართვა. გამომძიებელს შეუძლია, წინასწარ, პროკურორისათვის შეტყობინებისა და სასამართლოს განჩინების გარეშე, დამოუკიდებლად ჩაატაროს ისეთი საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებები, როგორცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამომძიებო ექსპერიმენტი, ჩხრეკა, ამოღება და სხვა, თუ ეს უკანასკნელი ტარდება კერძო საკუთრების ტერიტორიაზე, მესაკუთრის თანხმობით.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამომძიებელს შეუძლია წინასწარი ინფორმირების და სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიუხედავად მესაკუთრის თანხმობისა, აწარმოოს გადაუდებელი საგამომძიებო მოქმედებები, რის კანონიერების ფარგლებსაც ამოწმებს სასამართლო. ასეთი მოქმედების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, გამომძიებელი ვალდებულია შეატყობინოს პროკურორს და წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც აღნიშნული ქმედების აუცილებლობას დაადასტურებს. გამომძიებელი ასევე უფლებამოსილია ჩაატაროს ყველა გადაუდებელი ქმედება და მითითებულ ვადებში, რაც სასამართლო განჩინებაშია ასახული. განჩინების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით. აქ მოიაზრება როგორც ბრალდების მხარე, ასევე დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული განჩინება. საგამომძიებო მოქმედების ჩატარების დროს, გამომძიებელს უფლება აქვს ნებისმიერი ქმედება განახორციელოს, გარდა იმ ქმედებისა, რაც პროკურორის კომპეტენციას ეხება. გამომძიებლის დადგენილება საგამომძიებო ან საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ, სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებისათვის, ნებისმიერი იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე ნებისმიერი იმ პირისათვის, რომელსაც აღნიშნული დადგენილება ეხება. მაგალითად,

გამომძიებლის დადგენილება, დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლაციურიდან გამოყვანის შესახებ, სავალდებულოადროებითი მოთავსების იზოლაციისათვის.³

გამომძიებლის მითითება დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, არის წერილობითი. მთავარია, აღნიშნული დოკუმენტი აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნის მოთხოვნებს, ესეიგი დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს დაკავების ადგილიდან პირის გამოყვანის მიზეზები და ის საგამოძიებო ორგანო სადაც დაკავებული უნდა მიიყვანონ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამომძიებლის გადანაცვების გასაჩივრების შესაძლებლობას, როგორც პროკურორთან, ასევე სასამართლოში, რაც პროცესის მონაწილეების უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიებია. გამომძიებლის გადანაცვლება საჩივრდება მის ხელმძღვანელ პროკურორთან, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამომძიებლის ყველა გადანაცვლება სასამართლოში არ გასაჩივრდება. აღნიშნულს ექვემდებარება, მხოლოდ ის გადანაცვლებები, რაზეც მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

მოქმედებებისა და გადანაცვლების გასაჩივრების შემთხვევაში, გამომძიებელი ვალდებულია საჩივარი და საქმის მასალები გაუგზავნოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს ან სასამართლოს. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინ, როცა საჩივრის ავტორს საჩივარი შეაქვს იმ საგამოძიებო დანაყოფში ან იმ გამომძიებელთან, რომლის მოქმედება ან გადანაცვლება საჩივრდება. გამომძიებელს აქვს უფლება მოსილება, სისხლის სამართლის საქმის აღდგენის

³საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ.172

მიზნით წერილობითი განაცხადით მიმართოს შესაბამის ორგანოს და გამოითხოვოს საჭირო მასალები და ინფორმაცია.

გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.⁴ მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია, რომლის შემცვლელი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ნებისმიერი სხვა ობიექტი, რომელზე დაყრდნობითაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან ურყოფენ ფაქტებს, აძლევენ მათ სამართლებრივ შეფასებას, ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

დოკუმენტი, მხოლოდ მაშინ წარმოადგენს მტკიცებულებას, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ასევე ნებისმიერი წყარო, სადაც ინფორმაცია ჩამოყალიბებულია სიტყვიერად, ნიშნობრივი ფორმით და ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.⁵ ნივთიერ მტკიცებულებად შეიძლება ჩავთვალოთ საგნები, რომლებიც მათი თვისების ან სხვა გარემოებების გამო შეიძლება ემსახურობდეს მტკიცების საგანში შემავალ და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარენოებების დადგენას. ობიექტურობის ნიშანი არსებითია ნივთიერი მტკიცებულებების არსისათვის. რაც გულისხმობს, რომ საგანში ან მასზე არსებული ინფორმაცია, რასაც საქმისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, ყალიბდება არა სუბიექტური მიზნით, რაც გამოიხატება პროცესის მწარმოებელი პირისთვის მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, არამედ რამე სხვა მიზნით ან სულაც ყოველგვარი მიზნის და ადამიანის ნება - სურვილის გარეშე. მაგალითად

⁴კავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია, გამომც. „თბილისი“, თბ. 1984

⁵საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015

ბრალდებულის წერილი, რისი საშუალებითაც იგი დახმარებს ითხოვს პირისაგან, მონმეებზე ზემოქმედებაში, მოპარული ქონების გადამალვაში და სხვა. ბრალდებულის მიზანს არ წარმოადგენდა აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გამხდარიყო პროცესის მწარმოებელი პირისთვის. მისი მიზანი იყო ამ წერილის და მისი შინაარსის დამალვა. შესაბამისად, დანაშაულის იარაღი, როგორც წესი, კვალს ინახავს არა იმიტომ, რომ დამნაშავეს ეს სურდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებულია საგნების ფიზიკურ მახასიათებლებთან. ფული, ძვირფასეულობა, ქონება, მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნივთმტკიცებულება, თუ გამოვლინდება, მათი ობიექტური კავშირი დანაშაულთან. მაგალითად, ბრალდებულის ბინის სამალავში ფულის აღმოჩენა ფულის ერთეულებს სძენს ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობას, პირის მიერ თვითმკვლელობამდე დაწერილი და შემთხვევის ადგილას დატოვებული წერილი, ამ წერილს სძენს ნივთიერი მტკიცებულების სახეს და ა.შ. მთავარი საგნები, ნივთიერი მტკიცებულებები, შესაძლებელია არც შეიცავდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. მთავარია დადგინდეს მათი კავშირი იმ მტკიცებულებით ფაქტებთან, რომელთა შესახებაც ინფორმაციის არარსებობა, რაც უკავშირდება სხვა საგნების წარმოშობას, ადგილმდებარეობას, ფუნქციას ან საგნის გამოყენებას, აკარგვინებს მათ ნივთიერ მტკიცებულებათა მნიშვნელობას. ამიტომ, საგანი, რომლის წარმოშობა უცნობია, ყოველთვის ვერ ჩაითვლება მტკიცებულებად, თუ ვერ დგინდება მისი წინა ისტორია. ასევე, დაუშვებელია ე.წ. ანალოგი საგნების გამოყენება, ნივთიერ მტკიცებულებად (მაგ. აღმოჩენილი მკვლელობის იარაღის, დანის მაგივრად, ექსპერტიზაზე იმავე ტიპის დანის ანალოგის გაგზავნა.) მიუხედავად იმისა, რომ ანალოგ - საგნის წარმომავლობა ცნობილია, ის არა არის დაკავშირებული გამოძიების საგანთან და შესაბამისად, არ არსებობს მტკიცებითი ფაქტი.⁶

⁶საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გვ 38.

გამოძიება, ეს არის მხარეთა მიერ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების პროცესი, რომლის მიზანს წარმოადგენს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. მხარეთა თანასწორობის პირობებში შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს და მის ადვოკატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროს თანაბარი უფლებამოსილება გააჩნიათ. ყველა მათგანს უფლება აქვს გამოძიება აწარმოოს დამოუკიდებლად, მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი ან გამამართლებელი მტკიცებულებები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამომძიებელს აკისრებს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად ჩატარების ვალდებულებას, რაც გულისხმობს მის მიერ ბრალეულობის დამადასტურებელ ან გამამართლებელ მტკიცებულებათა მოპოვებას. გამომძიებელი ვალდებულია ჩაატაროს სისხლის სამართლის საქმეზე ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. გამომძიებელი გამოძიების პროცესში არ უნდა იყოს მიკერძოებული და ორიენტირებული მხოლოდ პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებაზე. აღნიშნული გულისხმობს არ იმას, რომ გამოძიება მთლიანად ორიენტირებული იყოს გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვებისაკენ, არამედ იმას, რომ გამოძიების პროცესში წამოჭრილი თითოეული ვერსია და ეჭვი გადამოწმდეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით.

1.2 გამომძიებლისა და გამოძიების ორგანიზაცია ცალკეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში

იმისათვის, რომ მოვახდინოთ ეროვნული კანონმდებლობის შედარება საერთაშორისო კანონმდებლობასთან საგამოძიებო სფეროში, აუცილებელია განვიხილოთ სხვადასხვა საზღვარგარეთის ქვეყნებში გამომძიებლისა და ზოგადად

საგამოძიებო ინსტიტუტი. მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საგამოძიებო ფუნქცია ეკისრება სასამართლო პოლიციას და გამოძიების მოსამართლეს. სასამართლო პოლიცია შედგება ეროვნული პოლიციისაგან, რომელიც ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეროვნულ უანდარმერიას, თავის მხრივ კი, ეს ორივე უწყება, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. გამოძიების მოსამართლე, პროცესში ერთვება მოკვლევის შემდეგ, თუ მას საქმეს გადასცემენ პროკურორის ან დაზარალებულის ინიციატივით. გამოძიების მოსამართლის მიერ წარმოებულ გამოძიებას ეწოდება წინასწარი სასამართლო გამოძიება. საფრანგეთში, დაახლოებით 500 საგამოძიებო მოსამართლეა რეგისტრირებული. დევნის უმთავრეს ორგანოს, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს საჯარო ბრალმძებელი, რესპუბლიკის პროკურორი. ზუსტი სტატისტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობით, განსაკუთრებით საყურადღებოა პროკურორის, როგორც მხარის, მნიშვნელობა.

ინგლისისათვის დიდი ხნის განმავლობაში უცხო იყო უმნიშვნელო სახის პროკურატურაც კი. სამართლებრივი კუთხით, ასეთი მდგომარეობა საკმაოდ გაუმართლებელი იყო და 1879 წელს ინგლისის მთავრობამ შექმნა ბიურო, რომელიც წარმოადგენდა ხალხისათვის სატყუარას სასარჩელო სისტემისათვის, რადგან მანამდე სარჩელების შეტანა ხორციელდებოდა თითოეული მოქალაქის მიერ. ბიურომ ჩამოყალიბებისთანავე თავის თავზე აიღო ისეთი მძიმე დანაშაულების, როგორცაა მაგალითად, მკვლელობა, სარჩელის აღძვრის ინიციატივა. იმავდროულად, პოლიცია განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. 1979 წელს შეიქმნა პროკურატურა, რომელიც იღებდა პოლიციის მიერ გახსნილ პირად საქმეებს, ახორციელებდა საქმეთა შერჩევას, თუ საქმეში ბრალდება სუსტად იყო გამოხატული, ასეთ საქმეებს თავიდან იშორებდა. ასე შეიქმნა ერთგვარი პროკურატურა.

ინგლისში, ერთიანი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ არსებობს. გამოძიება რეგულირდება ცალკეული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. ინგლისში, 1955 წლის „დანაშაულთა დევნის შესახებ“, -კანონის მიღებამდე, სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ საკითხს წყვეტდა პოლიცია და შემდგომ საკითხებზე გადაწყვეტილება პოლიციის მიერ მიიღებოდა. შემდგომში პარლემენტის მიერ სისხლის სამართლებრივ დევნაზე მონოპოლია გადაეცა „გვირგვინის საბრალდებო სამსახურს“.⁷

ინგლისში და უელსში, გამოძიებას ძირითადად აწარმოებს პოლიცია. თუ წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას, მხედველობაში არ მივიღებთ სასამართლოს ჩარევას, გამოძიება სასამართლო კონტროლს არ ექვემდებარება. აქვე, ისტორიული მიზეზების გამო, 43 სხვადასხვა საპოლიციო სტრუქტურა მოქმედებს. პოლიციასთან ერთად არსებობს ისეთი საგამოძიებო სამსახურები, როგორებიცაა: შემოსავლების, საბაჟო, აქციზების და სხვა სამსახურები, ასევე, განსაკუთრებით საშიშ თაღლითობათა გამოძიების სამსახური.

ასევე საინტერესოა გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში გამოძიების ორგანიზაციული და პროცესუალური თავისებურებები. გერმანიის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს საერთო ფედერალური საპროცესო კანონმდებლობა. გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, წინასწარი გამოძიება არ არსებობს, ასევე არ არის საქმის აღძვრის სტადია, შესაბამისად, პირველი საგამოძიებო მოქმედებები, ნიშნავს საქმეზე გამოძიების დაწყებას. ამ ქვეყანაში სხვადასხვა ლოკალური რეფორმების შედეგად, გამოძიება ტარდება მოკვლევის ფორმით. მოკვლევის ორგანოს, კანონის თანახმად, წარმოადგენს პროკურატურა, რომელსაც მასალებს დანაშაულის ჩადენის შესახებ პოლიცია დაუყოვნებლივ

⁷გ. აბაშიძე, პროკურორი „გამოძიების სტადიაზე“, თბ. 2012, გვ. 212

გადასცემს. გემანიის კანონმდებლობის მიხედვით, გამოძიება არის პოლიციის ფუნქცია, სადაც ხელმძღვანელობითი ფუნქცია ეკისრება პროკურორს.

რეალურად, გამოძიების პროცესს უნდა ხელმძღვანელობდეს პროკურორი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ ერევა საქმეში, თუ აშკარა არის გამოხატული სპეციალური საჯარო ან პოლიტიკური ინტერესი. ასეთ შემთხვევაში, იგი ასრულებს კოდექსით მინიჭებულ ფუნქციებს, ანუ ხდება გამოძიების ხელმძღვანელი. აღნიშნულის პრაქტიკული შედეგი არის ის, რომ პროკურორი მხოლოდ პოლიციის მიერ კანონიერების დაცვაზე ზედამხედველად გვევლინება. თუ საქმეზე საკმარისი მტკიცებულებები არ იქნება წარმოდგენილი პოლიციის მიერ, პროკურორს შეუძლია საქმე დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად დაუბრუნოს პოლიციას.⁸

ძალზედ საინტერესოა ბელგიის კანონმდებლობა პროკურორის და გამომძიებლის როგორც ორგანიზაციული, ასევე პროცესუალური თავისებურებების შესახებ, სადაც პროკურორი მოხსენიებულია როგორც საჯარო ბრალმძებელი. აღნიშნული კანონმდებლობით, პროკურორი წარმოდგენილია როგორც გამოძიების ხელმძღვანელი. იგი წყვეტს საკითხს, თუ რა მოქმედებები უნდა ჩატარდეს მას შემდეგ, რაც პოლიცია შეატყობინებს დანაშაულის ჩადენის შესახებ. პროკურორს საქმის შეწყვეტა შეუძლიანებისმიერ სტადიაზე. პროკურორი, როგორც სასამართლო პოლიციის მოხელე, აღჭურვილია დანაშაულის გამოძიების ზოგადი უფლებამოსილებით. მისი საგამოძიებო უფლებამოსილება უტოლდება პოლიციის უფლებამოსილებას, ასევე მას უფლება აქვს ჩაატაროს ყოველგვარი საგამოძიებო მოქმედება. პრაქტიკაში, საგამოძიებო მოქმედებას ახორციელებს პოლიცია საჯარო ბრალმძებლის ინსტრუქციით.⁹ მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა გამოძიება უმეტესად

⁸გ. აბაშიძე, პროკურორი „გამომძიებლის სტადიაზე“, თბ. 2012, გვ. 220-225

⁹„ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“ 1993წ. ქრისტინ ვინგერტი, გვ. 21

ამ წესით ხდება, აღნიშნული საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული არ არის. მას მოიხსენიებენ საგანგებო საპროცესო ტერმინით - „ინფორმაცია“. „ინფორმაციის“ განმავლობაში, საჯარო ბრალმდებელს შეუძლია ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, გასცეს ბრძანება იმ შემთხვევაში, რომ დაცული იქნება კანონი. მას არ შეუძლია გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები, როგორცაა ჩხრეკა, ამოღება, ყადაღა და ა. შ., რითაც შეიზღუდება ბრალდებულის ან მესამე პირის ძირითადი უფლებები. ასეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება აქვს მოსამართლეს. ამ დროს გამოძიებას წარმართავს სპეციალური გამოძიების მოსამართლე და გამოძიებას ეწოდება წინასწარი სასამართლო გამოძიება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, წინასწარი გამოძიება ჩვეულებრივ წარმართება გამოძიების მოსამართლის ხელმძღვანელობით, მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ეს ეხება რთული საქმეების გამოძიებას, ან კიდევ იძულებითი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობისას. ყველა სხვა გამოძიება წარმართება საჯარო ბრალმდებლის მიერ, პოლიციის დახმარებით.¹⁰

¹⁰გამოძიების მოსამართლე არის ინკვიზიციური სისტემის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თავისებურება. ეს არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სპეციალურად ინიშნება წინასწარი გამოძიების სტადიაზე. იგი არ ღებულობს გადანწყვეტილებას საქმის არსის შესახებ, არ გამოაქვს განაჩენი, მას მხოლოდ წინასწარი გამოძიების წარმართვის ფუნქცია აკისრია. დეტალურად იხ. „ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“, 1993 წ. ქრისტინ ვინგერტი, გვ. 21-31

თავი 2. გამომძიებლისა და გამოძიების ორგანიზაცია და ეტაპები დამოუკიდებელ საქართველოში

2.1. გამომძიებლისა და გამოძიების ინსტიტუტი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში საკმაოდ წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც რომაულ-გერმანული (კონტინენტური) სამართლის სისტემის მოდელს წარმოადგენდა. აღნიშნულით გათვალისწინებული იყო წინასწარი გამოძიება და მის ამოცანას წარმოადგენდა დაედგინა დანაშაულებრივი ფაქტი და მისი ჩამდენი პირი, ასევე უზრუნველყო კანონის სწორი გამოყენება, არ დაეშვა უდანაშაულო პირის მსჯავრდება, გამოესწორებინა საგამომძიებო და სასამართლო შეცდომები, დაეცვა მოქალაქის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის უფლებები და თავისუფლებები. დაემკვიდრებინა საზოგადოებრივი კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა (სსსკ, მ.1)

მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების მიზნით, წინასწარი გამოძიება ქმნიდა ყველანაირ აუცილებელ პირობას. მის ამოცანას წარმოადგენდა შეეკრიბა დანაშაულის გასახსნელად საჭირო მტკიცებულებები, დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დანაშაულის ჩამდენი პირი, ჩამოეყალიბებინა ბრალდება, უზრუნველყო დაცვის მხარისათვის კანონით გათვალისწინებული პირობების შექმნა და საპროცესო საქმიანობის მონაწილეებისათვის მათზე გარანტირებული უფლებების რეალიზაცია. წინასწარ გამოძიებაში იგულისხმებოდა არა მხოლოდ გამომძიებელ მიერ გამამტყუნებელი მტკიცებულებების მოპოვება და პირის პასუხისგებაში მიცემა, არამედ წინასწარი გამოძიების პროცესში, გამომძიებელი ვალდებული იყო ნებისმიერი ვერსიის შემოწმების დროს მოეპოვებინა ასევე ბრალდების გამამართლებელი მტკიცებულებები, თუ საქმეზე არსებული მტკიცებულებებით დადასტურდებოდა პირის არაბრალეულობა, შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილადაც კი გამოცხადებულიყო.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, საპროცესო კანონმდებლობით, წინასწარი გამოძიების ჩატარება ექვემდებარებოდა რამოდენიმე საგამომძიებო ორგანოს: პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომძიებო დანაყოფების გამომძიებლებს.

ყველა გამომძიებელს თანაბარი უფლება-მოვალეობა ქონდა მათ მიერ განხორციელებული საგამომძიებო მოქმედებები თანაბარი სამართლებრივი ძალის მქონე იყო.¹¹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი ითვალისწინებდა ყნყნობრივ საგამომძიებო დაქვემდებარებას, მასში აღნიშნული იყო, თუ რომელ საგამომძიებო ორგანოს რა კატეგორიის დანაშაულთა გამოძიება ექვემდებარებოდა.

¹¹სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998წ. მ.61. თბ. საკანონმდებლო მაცნე

წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი არ წარმოადგენს საწყის სტადიას, რადგან მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის პირველ, დამოუკიდებელ სტადიად ითვლებოდა. მისი მიზანი იყო ის, რომ დანაშაულის შეტყობინებისთანავე არ დაწყებულიყო გამოძიება, არამედ მომხდარიყო მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ პროკურორი, გამომძიებელი ან/და მომკვლევნი ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილი იყო აღედგინა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად გადაეცემოდა გამომძიებელს. სხვა შემთხვევაში, არსებულ მასალებზე დაყრდნობით, გამომძიებელს ან სხვა უფლებამოსილ პირს, ევალებოდათ გამოეტანათ დადგენილებასისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის შესახებ.

წინასწარი გამოძიების დროს, ბრალდების მხარე უფრო გამოკვეთილი იყო. პროკურორთან ერთად, ბრალდების მხარედ ითვლებოდა დაზარალებული, მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი. სისხლისსამართლებრივი დევნის ოთხი სახე არსებობდა: საჯარო, კერძო-საჯარო, კერძო და სუბსიდიური. ყველა საჯარო ბრალდების საქმეებზე, პროკურორსა და გამომძიებელს უფლება ჰქონდათ განეხორციელებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო დაზარალებული სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებდა კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეებზე.

უფრო თვითნებურად წარმოჩენილი გამომძიებლის სტატუსი. იგი მართალია, არ წარმოადგენდა ბრალდების მხარეს, მაგრამ მაინც ახორციელებდა სისხლისსამართლებრივ დევნას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამომძიებელი უფლებამოსილი იყო, ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება, რომლის წარმოებისასაც ყველა გადაწყვეტილებას, გამოძიების მიმართულებების, საგამომძიებო ვერსიათა წამოყენებისა და შემოწმების, საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, გამომძიებელი იღებდა დამოუკიდებლად, გარდა

იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებული იყო მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა და პასუხს აგებდა მათი სრული და დროული ჩატარებისათვის.

წინა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იყო ასევე შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები: დაკითხვა, სადაც ცალკე მუხლით იყო გამოყოფილი თითოეული პროცესის მონაწილის - მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაკითხვის პროცესუალური თავისებურებები; მოქმედი საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, ცალკე საგამოძიებო მოქმედებად იყო გათვალისწინებული ჩვენების ადგილზე შემოწმება.¹²

გამომძიებელი ვალდებული იყო შეესრულებინა პროკურორის წერილობითი მითითებები. თუ ამ უკანასკნელს გამომძიებელი არ დაეთანხმებოდა, ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის, საგამოძიებო ვერსიების, შემოწმების, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მას უფლება ჰქონდა ზემდგომი პროკურორისათვის წარედგინა საქმე და საკუთარი მოსაზრებები გაეზიარებინა მისთვის. თავის მხრივ კი, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა ქვემდგომი პროკურორის მითითებები ან გამოძიება სხვა პროკურორისათვის დაევალებინა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვალდებულება და მათივე მონაწილეობა ეკისრებოდა ასევე გამომძიებელს, დაცვის მხარის მოთხოვნით.

საპროცესო კანონმდებლობით გამომძიებელი უფლებამოსილი იყო ჩაეტარებინა ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. კერძოდ, გამოეთხოვა მოსამართლისაგან ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევაში. თუ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა

¹²თ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ. 2015

პიროვნებამ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, გამომძიებელს გამოეჩინა შესაბამისი დადგენილება და პროკურორის თანხმობით, პირისათვის ახდენდა ბრალდების წარდგენას.

მრავალეპიზოდური, დიდი შინაარსისა და მოცულობის საქმის არსებობის შემთხვევაში, პროკურორის დადგენილებით, იქმნებოდა საგამომძიებო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი გამომძიებელი და ის კოორდინაციას ახორციელებდა სხვა გამომძიებელთა საქმიანობაზე.

გამომძიებელი ვალდებული იყო წინასწარგამომძიების დამთავრების შემდგომ, საქმის მთლიანი მასალები გაეცნო დაზარალებულისათვის, ან მისი წარმომადგენლისათვის, შემდგომ ბრალდებულისა და მისი ადვოკატისათვის, ყოველივე ამის შემდეგ კი პროკურორი ადგენდა საბრალდებო დასკვნას და საქმეს არსებითად განხილვისათვის გადასცემდა სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ მხოლოდ გამომძიებელი ახორციელებდა წინასწარ გამოძიებას. მას ჰქონდა უფლება ჩაეტარებინა ნებისმიერი საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებანი. მისი საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კანონმდებლობის სრული დაცვით, საქმეზე ჩაეტარებინა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება. რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა იმას, რომ კანონმდებლობა გამომძიებელს იმპერატიული ნორმით ავალდებულებდა წინასწარი გამოძიების პროცესში ერთნაირი გულმოდგინებით დაედგინა ბრალდების, როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები. გამომძიებელი ასევე ვალდებული იყო გამოძიების მთელ სტადიაზე განუხრელად დაეცვა პროცესის მონაწილეების გარანტირებული უფლებები და კანონიერი ინტერესები. რა თქმა უნდა გამომძიებლის საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებდა პროკურორი,

მაგრამ მათი ურთიერთობა საპროცესო კანონმდებლობის ჩარჩოებში ისე იყო მოქცეული, რომ ის პროკურორის „მორჩილად“ კი არა, არამედ არც თუ იშვიათ შემთხვევაში „ოპონენტადაც“ გვევლინებოდა.¹³

წინა საპროცესო კოდექსმა ისეთი ცვლილება განიცადა, განსაკუთრებით 2005 წლიდან, რომ ფაქტობრივად დაკარგა თავისი პირვანდელი სახე, რის გამო აუცილებელი გახდა ახალი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება და მიღება.

2.2. შეჯიბრებითობის პრინციპი გამოძიების სტადიაზე

XX საუკუნის 90 - იანი წლების ბოლოს, ჩატარდა სამართლებრივი რეფორმები დამოუკიდებელ საქართველოში. ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის საჭირო იყო შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნით შესაძლებელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, თუ რომელ კურსს ირჩევდა ქვეყანა - ტოტალიტარულ რეჟიმს, თუ დემოკრატიული აღმშენებლობის გზას. პირველი სერიოზული ნაბაჯი დემოკრატიული აღმშენებლობის მიმართულებით გადაიდგა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით. საკანონმდებლო სიახლეები შეეხო სისხლის სამართლებრივ სფეროსაც. კონსტიტუციით იქნა გარანტირებული სისხლის სამართალწარმოების საჯაროობა და დისპოზიციურობა, კონინიერება, შეჯიბრებითობა, დაცვის უფლება და სხვა. კონსტიტუციაში აღინიშნა, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის საფუძველზე.

¹³ჯ.გახოკიძე, მ. ბაძალუა, ზ. მელუქაძე, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირება; პრობლემები და გადაჭრის გზები“, წიგნში შოთა ფაფიაშვილი 80, საიუბილეო კრებული, გამ. „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, გვ.78-79

სისხლის საპროცესო სამართლის ისტორიაში პირველად ერთ - ერთ პრინციპად მიღებული იქნა შეჯიბრებითობა. რომლის შესაბამისადაც: 1. სისხლის სამართლის პროცესი მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის საფუძველზე ხორციელდება; 2. ბრალდების, დაცვის და საქმის გადანაცვების ფუნქციები გამოყოფილია და არ შეიძლება ერთსა და იმავე თანამდებობის პირს ან ერთსა და იმავე ორგანოს დაეკისროს; 3. მხარეებს თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებები, მიიღონ მონაწილეობა მათ გამოკვლევაში, საკუთარი აზრი გამოთქვან სისხლის სამართლის ნებისმიერ საკითხზე, განადგობონ აცილება და შუამდგომლობა; 4. შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში უზრუნველყოფილია იმით, რომ: ბრალდების ფუნქცია ეკისრება საგამოძიებო ორგანოს უფროსს, პროკურორს, გამომძიებელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. ამ შემთხვევაში სასამართლოს ეკისრება კონტროლი ბრალდებასა და დაცვას შორის და წინასწარი გამოძიების დროს წარმოქმნილი საკითხების გადანაცვებისადმი; 5. სასამართლოს სისხლის სამართლებრივი ორგანო არ არის და არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლოს დაცვისა და ასევე ბრალდების მხარეებს უქმნის საწირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისთვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისთვის; 6. სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით. შემდგომ განხორციელებული ფუნქციური და სისტემური ცვლილებების გამო, შეტანილ იქნა ცვლილება და ბრალდების ფუნქცია დაეკისრა პროკურორს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს.

სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები შეუქმნას უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ისე რომ არც ერთ მხარეს უპირატესობა არ მიანიჭოს. სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია თავი შეიკავოს დაცვის ხელშეწყობ ან ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებების ძიებისგან და გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებების გამოკვლევა, წარმოდგენა და

აღმოჩენა მხარეების კომპეტენციაა. 3 თუ მხარეებს ან მხარეს უძნელდება მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენ, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში ხელი შეუწყოს.

1998 წლის 20 თებერვალს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეჯიბრებითობა დასულია, როგორც სასამართლო გამოძიების ისე წინასწარი გამოძიების დროს. მხარეთა თანასწორობა ქმნის იმ პირობებს, რომ მიიღონ მონაწილეობა სამართალწარმოებაში და თავიანთი პოზიციები მტკიცებულებათა წარდგენის გზით დაიცვან. ამ კოდექსის 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მხარის მიერ წარმოდგენილი და მოპოვებული ცნობები საქმეს უნდა დაერთოს. ისინი უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს მეორე მხარემ და ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს. სასამართლო კამათსა და სასამართლო განაჩენში, მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული.

129-ე მუხლში აღნიშნულია ,რომ მხარეებს უფლება აქვთ შეკრიბონ და წარადგინონ მტკიცებულებები. ამ მუხლის შესაბამისად: 1. დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ საჭირო ცნობები, ასევე კერძო პირს დაუსვან შეკითხვები, რომელიც ჯერ დაკითხული არ არის. გამოთვონ დახასიათება ცნობა და სხვა სახის დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, რომელიც ვალდებულია ამგვარი მოთხოვნა შეასრულოს; 2. სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი შეიძლება წარედგინოს და დაერთოს საქმეს დოკუმენტები, ცნობები, მასალები, რომელიც დამცველისა და წარმომადგენლის მიერ გამოძიების გარეთ იქნა მოპოვებული; 3. დამცველის დასაბუთებული მოთხოვნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის. ამ მოქმედების ოქმის სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს; 4. ცნობები ზეპირი ფორმით და წერილობით, აგრეთვე საგნები დოკუმენტები, რომლების სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება იყოს მტკიცებულებები, უფლება აქვს

წარმოადგინოს ბრალდებულმა დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა.

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეჭიბრებითობის პრინციპი თანაბრად არის დაცული სასამართლო გამოძიების და წინასწარი გამოძიების დროს. კოდექსის 439- ე მუხლი სასამართლო განხილვი შეჭიბრებითობს ეხება. ამ მუხლის შესაბამისად: 1. სასამართლო განხილვა ბრალდებისა დაცვის მხარეთა პოლემიკის სახით მიმდინარეობს; 2. თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები აქვთ ბრალდების და დაცვის მხარეებს; 3. სასამართლოს არ აქვს უფლება შეასრულოს დაცვის ან ბრალდების ფუნქციები; 4. სასამართლო მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საწირო პირობებს მხარეებს უზრუნველყოფს; 5. მოსამართლეს უფლება არ აქვს გამოთქვას აზრი განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე; 6. ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენ მეორე მხარესაც; 7. ბრალდების მხარეს წარმოადგენენ პროკურორი - სახელმწიფო ბრალმდებელი, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები და დაზარალებული. დაცვის მხარეს - განსასჯელი, დამცველი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი კანონიერი წარმომადგენელი. კდექსის 475-ე მუხლი მხარეების მიერ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის თანმიმდებრობას განსაზღვრავს, იცავს თანასწორობის პრინციპს. ამ მუხლის თანახმად, მტკიცებულებას ჯერ ბრალდების, შემდეგ კი დაცვის მხარე წარადგენს. ამავე მუხლის 21- ე ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა წარმოდგენას მხარეები თავად უზრუნველყოფენ. სასამართლო განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა მტკიცებულების წარმოსადგენად. თუ აღნიშულ ვადაში მხარეებმა ვერ უზრუნველყვეს მტკიცებულების წარმოდგენა, მოსამართლე უფლაბამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განუსაზღვროს დამატებითი

ვადა მტკიცებულების წარმოდგენისათვის. თუ მხარე კვლავ ვერ უზრუნველყოფს დანიშნულ ვადაში მტკიცებულებების წარმოდგენა, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარეთა შეამდგომლობით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება მტკიცებულების გამოქვეყნების თაობაზე¹⁴.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, არის 475- ე მუხლის მე -4 ნაწილი, სადაც აღნიშნულია თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვის გარანტიები, რომლის თანახმად, ბრალდების მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც მითითებულია საბრალდებო დასკვნის დანართში. თუ სასამართლო განხილვისას გამოვლინდა ახალი მტკიცებულება, ცხადდება შესვანება იმ დროით რა დროც არის საჭირო დაცვისთვის, რომ გაუცნოს მტკიცებულებას. ასევე თუ დაცვის მხარე წარადგენს მტკიცებულებას ცხადდება შესვენება, რომ ბრალდების მხარე გაეცნოს ამ მტკიცებულებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2004 წლის თებერვლიდან შევიდა ცვლილებები, რომლებსაც მოკლედ შევხებით და რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის საკითხი. საქმე ეხება ბრალდების მხარის სასარგებლოდ უფლებამოსილების და ფუნქციების გაზრდას, რამაც გამოიწვია შეჯიბრებითობის როლის და მნიშვნელობის დაკნინება. მითითებული პერიოდიდან განხორციელებულმა ცვლილებებმა ზიანი არა მარტო შეჯიბრებითობის პრინციპს მიაყენა, არამედ შექმნა სრული ქაოსი.

სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ეტაპი, როდესაც დაცვის მხარეს შეეძლო წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები და დაშვებულ ხარვეზზე მიეთითებინა, წინასწარი გამოძიება იყო. საკანონმდებლო ცვლილებებით საქმის მასალების გაცნობა შეიცვალა საპროცესო დოკუმენტების ასლის გადაცემით. 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით დაზარალებულისა და ბრალდებულის უფლება გაცნობოდნენ

¹⁴გ.თუმანიშვილი, შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015

საქმის მასალებს გაუქმდა და მის ნაცვლად შემოიღეს შეტყობინება საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსთვის გადაგზავნის შესახებ.

2006 წლის 29 დეკემბერს კანონით შეტანილი ცვლილებებით პროკურორს მიეცა უფლება, უშალოდ საბრალდებო დასკვნაში ჩამოეყალიბებინა ახალი ბრალდება, ბრალდების შეცვლის ან შევსების საჭიროების შემთხვევაში, პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ახალი დადგენილების გამოტანის გარეშე. ამ ნორმიდან გამომდინარე, ბრალდებული მხოლოდ მრავალთვიანი წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, სასამართლოში იგებდა, რომ საგამოძიებო ორგანოები არ ედგებიან იმ ბრალდებით, რომელიც მას და მისი ადვოკატის თანდასწრებით წაუყენეს პროკურორმა და გამომძიებელმა, არამედ გაცილებით მძიმე ბრალდებით. ამგვარი ფუნქციების შეზღუდვით აშკარად დაირთვა თანასწორობისა და შეჭიბველობის პრინციპები.

2005 წლის 17 ივნისის კანონით კოდექსის 475-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეიცვალა: თუ ბრალდების მხარე გამოავლენდა ახალმტკიცებულებებს, არა უგვიანეს 7 დღისა სასამართლო განხილვის დაწყებამდე უნდა გადაეცა მოწინააღმდეგე მხარისათვის არსებული დამატებითი მტკიცებულებები დაცვის მხარესათვის, რომლის გაცნობის მიზნით ცხადდება შესვენება. 2006 წლის 28 აპრილის კანონით 475-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეიცვალა : დაცვის მხარემ უნდა წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. პროკურორის ვალდებულება, მტკიცებულებები წარედგინა სასამართლო განხილვის დაწყებამდე 7 დღით ადრე, იმ მიმართებით შეიცვალა, რომ ახალი მტკიცებულებების გამოვლენის შემთხვევაში უკვე დაცვის მხარეს უნდა წარედგინა ისინი არა უგვიანეს 5 დღისა. რატომ უნდა წარედგინა პროკურორს 7 დღით ადრე მტკიცებულებები სავსებით გასაგებია და არ იწვევდა კითხვის ნიშნებს. დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით მოამზადოს და

გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. იმ ცვლილებებით, რომლითაც დაცვის მხარეს დაეკისრა ახალი მტკიცებულებების არა უგვიანეს 5 დღისა წარდგენის მოვალეობა, ჩემი აზრით არ ჰქონდა არანაირი გამართლება. ეს იყო მხარეთა თანასწორობის დარღვევისა და დაცვის უფლების შეზღუდვის მაგალითი.

სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობას ეხება 25-ე მუხლი, რომლის შესაბამისად: 1. სასამართლო ვალდებულია შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთს არ მიანიჭოს უპირატესობა; 2. დაცვის ხელშემწყობ ან ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა სასამართლოს ეკრძალება. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა; 3. მოსამართლეს უფლება არ აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე, სანამ განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი; 4. თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაილეობს, ერთი მხარის საჩივართან და შუამდგომლობასთან დაკავშირებით ისმენს მეორე მხარის აზრსაც. როგორც ვხედავთ კანონმდებელი შეეცადა დაეცვა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები.

კოდექსის 25-ე მუხლში აუცილებლად უნდა იყოს მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.¹⁵

შეჯიბრებითობის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მონმეთა მოძიება, მათია სასამართლოში დაბარება, მტკიცებულებათა მოპოვება დამტკიცებულების სასამართლოში პრეზენტაცია, მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის კომპეტენციაა. გამოძიების სტადიაზე მხარეებს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. ბრალდებულს და მის დამცველს ენიჭებათ უფლებამოსილება დამოუკიდებლად

¹⁵გ.თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტთა სამყარო“, თბ. 2014

გამოავლინონ და შეაგროვონ ის მონაცემები, რომლებიც სასამართლოში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბრალდების გამაქარწყლებელ მტკიცებულებათა სახით. საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის სტადიაზე კი სასამართლომ, რომელსაც დაცვის ხელშემწყობი ან ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა ეკრძალებათ, მხოლოდ მხარეების მიერ გამოკვლეული და წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა დაუდოს. მოჭინაალმდევე მხარეები საკუთარ მოსაზრებას აყალიბებენ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომელსაც ნეიტრალური მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას აფასებს.

შეტვირებითობის პრინციპის საპირისპირო პრინციპი ცნობილია, როგორც საგამოძიებო (ინკვიზიციური) პრინციპის სახელით. საგამოძიებო (ინკვიზიციური) პროცესში მხარეებს ჩამორთმეული აქვთ საქმის გარემოებათა გამოკვლევის პრივილეგია და ეს პრივილეგია მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოს. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო ვალდებულია ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები გამოარკვიოს. შეტვირებითი პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე თავად ატარებს სასამართლო გამოძიებას.

სისხლის საპროცესო სამართლებრივ ლიტერაში მეცნიერთა ერთი ნაწილი საგამოძიებო (ინკვიზიციური) პროცესს შეტვირებით პროცესთან შედარებით უკეთეს მოდელად მიიჩნევს. თეორიტიკოსების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ შეტვირებითი პროცესის დროს სასამართლო, მხოლოდ „პასიური არბიტრის“ როლს თამაშობს. მოსამართლე, რომელიც ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მასალებით შემოიფარგლება, იმის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა უკეთესი არგუმენტები. ასევე ამ მოსაზრებას ჰყავს მონინაალმდეგებიც, რომლებიც შეტვირებითობის პროცესის მოდელს ანიჭებენ უპირატესობას. მათ მიაჩნიათ, რომ შეტვირებით პროცესში ჭეშმარიტება მხარეების

მიერ მონმეთა ჯვარედინი დაკითხვის გზით დგინდება. სიმართლე უკეთესად მაშინ დგინდება, როდესაც მხარეები თავის შეხედულებას დამოუკიდებლად აყალიბებენ საქმის გარემოებების შესახებ და ამასთანავე მიუთითებენ მონიაალმდევე მხარის არგუმენტების სიზუსტეზე.

შეკიბრებითი პროცესის მომხრეები უარყოფენ მოსამართლის „პასიური მსმენელის“ ფუნქციას და მიაჩნიათ, რომ მასსაქმის არსებითი განხილვის დროს თართო უფლებები გააჩნია სიმართლის დასადგენად. აღნიშნულთან დაკავშირებით ისინი მოსამართლის უფლებებზე მიუთითებენ: მხარეთა მიერ მტკიცებულებების გამოკვლევას დააკვირდეს და მისი შევსების მიზნით დააკვირდეს და მხარეების თანხმობით ცალკეულ შემთხვევაში თავადაც დაუსვას მონმეებს დამაზუსტებელი კითხვები, უხელმძღვანელოს სასამართლო სხდომას, საბოლოოდ ნაფიც მსაჯულებს მისცეს განმარტებები.¹⁶

2.3. საკითხის დასმა

საპროცესო კანონმდებლობის მწყობრი სისტემა არ არსებობდა საქართველოში პირველ წლებში, როდესაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მთელ რი დეკრეტებსა და ბრძანებებში იყო გაბნეული საპროცესო ნორმები, რომელიც რევოლუციური კომიტეტის მიერ იყო გამოცემული. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში აწყდებოდნენ პრობლემას. ამა თუ იმ საპროცესო საკითხის გადაწყვეტისას არც კი არსებობდა შესაბამისი ნორმა. 1921 წლის 30 ივლისს მიიღეს დებულება „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოზე“, რომლის მიხედვითაც სხვა საკითხებთან ერთად, ხდებოდა წინასწარი გამოძიების ზოგადი საწყისების მონწესრიგება. საბჭოთა კავშირის მოქმედი კოდექსის

¹⁶გ. თუმანიშვილი, „შეკიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში“, www.geolaw.wordpress.com

გადახედვისას, რომელიც მიღებულ იქნა 1961 წლის 21 დეკემბერს და თითქმის 35 წელზე მეტ ხანს მოქმედებდა, დავასკვნით, რომ აღნიშნული კოდექსის ნორმები საკმაოდ ფართო უფლება-მოსილებებს ანიჭებდა გამომძიებელს. წინასწარი გამოძიების წარმოების დროს გამომძიებელი უფლებამოსილი იყო, საგამომძიებო მოქმედების და გამოძიების წარმართვის ყველა გადაწყვეტილება მიეღო დამოუკიდებლად და კიდევ სხვა უფლებები, რომელიც ზემოთ უკვე განხილულია. ვითარება შეცვლილია და ახლა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამომძიებელს შეუსუსტდა და ჩამოერთვა ის უფლებები და მოვალეობები რაც მას აქამდე გააჩნდა.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა გამომძიებლის ისტორიული ხასიათი, ასევე მისი დღევანდელი როლი სასამართლო წარმოებასა და საქმის გამოძიებაში. გამომძიებლის სტატუსის შეცვლა მოხდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგ. ეს იმიტომ მოხდა, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს წინასწარი გამოძიების ინსტიტუტს წინა კოდექსისგან განსხვავებით.

მართალია, გამოძიების წარმოების პროცესში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამომძიებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ მას მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება და გაეზრდება ეს უფლებები გარკვეული მოქმედების შესრულებაზე. თაქტობრივად, გამომძიებელი დღეს სულ სხვა ამპლუაში გვევლინება, კონკრეტულად კი პროკურორის ტექნიკური დამხმარის როლში და ის არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. გამომძიებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს გამოძიებისათვის საჭირო მიმართულებები და გამოძიების პროცესის მართვა, რომ არა მარტო პროკურორი იყოს ამ საკითხებზე ვალდებული არამედ გამომძიებელიც. დღეის მდგომარეობით თუ გადავხედავთ გამომძიებლისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს, მივხვდებით იმ განსხვავებებს, რაც მას ახალმა კანონმდებლობამ მოუვლინა. სამწუხაროდ გამომძიებელი გახდა

"პაიკი" და პროკურორს აქვს უამრავი ვალდებულება, კონტროლის მთელი მექანიზმი და გამომძიებელი ვერ იღებს გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად. აღნიშნული ფაქტი „აზარმაცებს“ გამომძიებელს და ეს იმ შედეგამდე მივყავართ, რომ გამომძიებელი ელემენტარულ საგამომძიებო მოქმედებასაც ვერ ატარებს და ელოდება პროკურორის მითითებას. ამ საკითხის დასარეგულირებლად და მოსაწესრიგებლად საჭიროა ძირეული ვცლილებების განხორციელება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. შსს-ს გამომძიებელი ექვემდებარება პოლიციის უფროსს, რაც ჩემი აზრით მიუღებელია. გამომძიებელი არ უნდა იყოს ოპერატიული მუშაკის დაქვემდებარებაში და უნდა იყოს დამოუკიდებელი ფიგურა. ძველი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ოპერატიული მუშაკები მითითებებს და დავალებებს იღებდნენ გამომძიებლისგან, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით გამომძიებელი გვევლინება ოპერატიულ მუშაკად და ოპერატიული მუშაკის დავალებების შემსრულებლად.

როგორც ყოველდღიური კონტაქტი და გამოძიებასთან წლების განმავლობაში ჩატარებული ანალიზები გვიჩვენებს, რომ გამომძიებლის პროფესიონალიზმი, მიუდევრად იმისა, რომ მას საპროცესო უფლებამოსილებები არ გააჩნია, დღეისათვის საგანგაშოდ დაბალია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოყვარულის დონეზეც კი არის. გამოძიების ორი ძირითადი და აუცილებელი კომპონენტის, გამოძიების ხარისხის აღნიშნული მდგომარეობის და პროფესიული დონის, ჩვენს წინაშე აქტუალური პრობლემა დასვა. მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გახდეს გამომძიებლის პროფესიონალიზმი და კანონმდებლობაში უნდა გაიწეროს ამისათვის საჭირო მოთხოვნების შესახებ (სავალდებულო სტაჟირება, უმაღლესი იურიდიული განათლება და სხვა.)

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემოღებული ისეთი თანამდებობები და ინსტიტუტები, როგორცაა „დეტექტივ-გამომძიებელი“, „დეტექტივ - გამომძიებლის თანაშემწე“ და „უბნის ინსპექტორ - გამომძიებელი“. მათ

უფლება აქვთ აწარმოონ გამოძიება. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ზემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს არ იცნობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს, მხოლოდ ერთ პირს - გამომძიებელს. გამომძიებლის სტატუსის ვადა კანონით აუცილებლად უნდა გაიწეროს. გამომძიებლებმაც, ისევე, როგორც პროკურორებმა უნდა გაიარონ ატესტაცია 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

ასევე, საიტერესოა გამომძიებლის ინსტიტუტთან დაკავშირებით გამოვლენილი ანგლო - ამერიკული და კონტინენტური (რომანულ - გერმანული) სამართლის მიხედვით თავისებურებების განხილვა.

კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი მოიცავს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს, რომელიც რომაული, გერმანული და კონტინენტური ტრადიციების საფუძველზე დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა. ჩვენს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შევადარებთ აღნიშნული სამართლი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, ძირეული განსხვავებები არ შეიმჩნევა, რადგან ჩვენ მივეკუთვნებით სწორედ ამ სამართლის სკოლას. აქედან გამომდინარე გამომძიებლის სტატუსი ანალოგიურია, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით. აქაც გამომძიებელი გვევლინება პროკურორის დაქვემდებარებაში, რომელიც მის გარეშე გადანყვეტილებას ვერ მიიღებს, მით უფრო ლაპარაკი არ არის დამოუკიდებელ გამოძიების ჩატარებაზე.

ანგლო - ამერიკული სამართალი, ცნობილია როგორც საერთო სამართალი, ეროვნული სამართლებრივი სისტემების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს ბრიტანეთის ყოფილი კოლონიებს, ამერიკი შეერთებულ შტატებს და ინგლისის სამართალს. აღნიშნული სამართალი რადიკალურად განსხვავებულია და სულ სხვაგვარად აყალიბებს გამომძიებლის ინსტიტუტს, რასაც მე ვემხრობი. აქ, გამომძიებელი გვევლინება დამოუკიდებელ რგოლად, რომელიც არავის და არაფერს ექვემდებარება და ემორჩილება. მას აქვს უფლება დაიწყოს საქმის

გამოძიება და აღნიშნული საქმე ბოლომდე აწარმოოს. ასევე ის ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება ზუსტად და ობიექტურად, რაც ჩვენი ქვეყნის წარსულისთვის უცხოა.

სწორედ ამიტომ, ანგლო - ამერიკული მოდელის გაზიარებაა საჭირო, რომ მოხდეს ჩვენს კანონმდებლობში ძირეული ცვლილებების განხორციელება. აჯობებს, გამოძიებელს მივანიჭოთ თავისუფლება, რომ მოხდეს საქმის ობიექტურად გამოძიება და არ მოხდეს გამოძიების წარმართვა ისე როგორც ეს ერთ მხარეს აწყობს. არ დავტოვოთ გამოძიებელი „პაიკად“ როგორც ის დღეს ჩვენს ქვეყანაში გვევლინება.

თავი III.

გამომძიებლის სტატუსი და უფლებამოსილება ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარებისას

3.1. ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ

პროკურორის პროცესუალური ხელმძღვანელობით წარიმართება გამოძება, რომელიც უძღვის წინ სასამართლო განხილვას. მოსამართლე (სასამართლო) გამოძიების პროცესში შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე ადგენს, არსებობს ქმედება ან ფაქტი, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, დამნაშავეა თუ არა იგი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება ამ პირმა, აგრეთვე იმ გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათისა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას, ე.ი. არკვევს მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოებას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის პროცესი არის გადაწყვეტილებათა და საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საგამოძიებო მოქმედება, საპროცესო მოქმედება და საპროცესო გადაწყვეტილება. საპროცესო გადაწყვეტილება არის ამა თუ იმ საკითხზე პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება. მაგ: გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

საგამოძიებო მოქმედება საპროცესო მოქმედებაა, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისკენ.

საპროცესო მოქმედება ისეთი მოქმედებაა, რომელიც ტარდება საპროცესო კანონის ფარგლებში. საგამოძიებო მოქმედებისგან განსხვავებით საპროცესო მოქმედება უფრო ფართო ცნებაა. საპროცესო მოქმედება მოიცავს საგამოძიებო მოქმედებასაც. თუ საგამოძიებო მოქმედების მიზანი მტკიცებულების მოპოვებაა, ზოგიერთი საპროცესო მოქმედება ამ ამიზანს არ ატარებს. მაგ: ნიმუშების აღება, ქონებაზე ყადაღის დადება და სხვა.

იმის შემდეგ რაც მხარეები მიიღებენ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციას, უნდა ჩაატარონ კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები.

თითოეული საგამოძიებო მოქმედება რეგლამენტირებულია საპროცესო კოდექსით და გათვალისწინებულია კანონით მისი ჩატარების წესი. " ყველაფერი აკრძალულია, რაც არ არის ნებადართული". ეს პრინციპი მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესში.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი მოცემულია საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სუბიექტებია მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი უფლება - მოვალეობები. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს უნდა იყოს დაცული მისი ფარგლები და ჩატარების წესი. იმ შემთხვევაში, თ საგამოძიებო მოქმედების ცატარება სურს დაცვის მხარეს, ასეთ შემთხვევაში ისი წარადგენს სასამართლოში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე დასაბუთებულ შუამდგომლობას განჩინების გაცემის თაობაზე. თუ სასამართლო გასცემს განჩინებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, ამ შემთხვევაში ის გამოძიებელი გაატარებს საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას არ აწარმოებს. საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა უნდა შეარჩიოს გამოძიებელი და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს გადაეცემა შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს. იმ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ბრალდებული განთავისუფლდეს ხარჯების დაგადხისაგან, თუ ისი სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებას, რომლებითაც დასტურდება შეუძლებლობა მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების.

დაცვის მხარის უფლებები ბრალდების მხარის უფლებებთან შედარებით ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით შეზღუდულია. საპროცესო კოდექსის 111 -ე მუხლის მე- 2 ნაწილის შესაბამისად, დაცვის მხარე:

1) საკუთარი დადგენილების საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობისას ვერ ჩაატარებს საგამოძიებო მოქმედებას.

2) ვერ ჩაატარებს ისეთ საგამოძიებო მოქმედებას, რომლის ჩატარებისათვის საჭიროა სასამართლოს ნებართვა.

თუ ამის თაობაზე არის კანონში მითითებული, მაშინ შესაძლებელია, რომ საგამოძიებო მოქმედებაში ჩაებან მონაწილეები. სანამ დაიწყება საგამოძიებო მოქმედებები, მისი ჩამტარებელი პირი მონაწილეებს განუმარტავს უფლება - მოვალეობებს და უზრუნველყოფს მათი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს.

3.2. გამოკითხვა

საქართველოს არც ერთი წინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობდა გამოკითხვას, როგორც ცალკე დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებას. ის მოქმედი სისხლის სამართლის პროცესით იქნა შემოღებული. თუ, წინა საპროცესო კოდექსით უფლებამოსილნი იყვნენ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეწარმოებინათ გამოძიება მხოლოდ გამომძიებელს (პროკურორი) ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად, გამოევიდნათ ბრალდებულის გამამართლებელი და მამხილებელი გარემოება, ასევე ის გარემოებები, რომელიც ბრალდებულის პასუხისმგებლობას დაამძიმებდა ან შეამსუბუქებდა. მოქმედი საპროცესო კოდექსი იმაზე არის ორიენტირებული, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ორ მოწინააღმდეგე მხარეს დაცვას და ბრალდებას მიეცეს შესაძლებლობა შექმნან თანაბარი უფლებები შეჭიბრებითობისა და თანასწორობის (სსსკ მე-9 მუხლი) პრინციპის დაცვით საგამოძიებო მოქმედებათა (გამოზიების)

ჩატარების გზით, მხარეებმა თვითონ მოიპოვეთ მათთვის სასარგებლო მტკიცებულებები.

კანონი „ოპერატიულ - სამძებრო საქმიანობის“ შესახებ სასევე ითვალისწინებს პირის გამოკითხვას, მაგრამ მხოლოდ ნებაყოფლობით ხასიათშია მათ შორის მსგავსება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გამომძიებელი ან ოპერატიული მუშაკი პირთან გასაუბრებამდე არ აფრთხილებს მას, რომ დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისთვის და ცრუ ინფორმაციის მოწოდებისათვის. ასევე დგინდება პატაკი ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის მიერ პირის გამოკითხვის თაობაზე დადგენილი წესით, რომელიც გამოკითხულ პირს გასაცნობად არ წარედგინება.

გამომძიების პროცესში მხარეებს უფლება აქვთ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად და ასევე საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად ჩაატარონ გამოკითხვა. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ გამოკითხული პირი მოწმის სტატუსით ჯერ კივე არ სარგებლობს, რადგანაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე- 3 მუხლის მე- 20 პუნქტის საფუძველზე, პირი უფლება - მოველეობებს და მოწმის სტატუს იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გააფრთხილებენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და დადებს ფიცს, შესაბამისად მტკიცებულებად არ ითვლება გამოსაკითხი პირის განმარტებაც. მიუხედავად ამისა, პოტენციური მოწმეების გამოსავლენად მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ გამოკითხვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოკითხვის ერთ - ერთის ნიშანი ისიცაა, რომ ეს ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, აქედან გამომდინარე დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ გასცეს ინფორმაცია ან წარმოადგინოს მტკიცებულება. გამოკითხვის მიზანია პირისაგან მიიღოს ახალი ინფორმაცია ან მოიპოვოს მტკიცებულება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქმის სწორი გადაწყვეტისათვის. გამოკითხული პირის განმარტება შეიძლება გადაიქცეს მტკიცებულებად, გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე,

დაიკითხოს მოწმის სახით და მისი ჩვენება, როგორც მტკიცებულების ერთ - ერთი სახე (დაცვის ან ბრალდების მიმართებით), განაჩენს დაუდოს საფუძვლად. ამასთანავე, ვიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გამოკითხვის საფუძველზე მხარეებმა შესაძლებელია მოიპოვონ მათი ინტერესებისათვის საწირო ახალი ინფორმაცია, რაც შეიძლება პტკიციებულებათა მიღების წყაროდ იქცეს.¹⁷

სისხლის სამართლისსაპროცესო კოდექსის 113- ე მუხლი ადგენს პირის გამოკითხვის წესებს, რომლის დარღვევა გავლენას ახდენს იმ მტკიცებულების დასაშვებობაზე, რომელიც გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იქნა მიღებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113- ე მუხლის მეოთე ნაწილის თანახმად, გამოსაკითხი პირი გარანტირებულია შემდეგი უფლებებით: ნებაყოფლობით მისცეს ინფორმაცია, ისარგებლოს ადვიკატის მომსახურებით საკუთარი ხარჯით, არ გასცეს ინფორმაცია ახლო ნათესავების ან/და საკუთარი თავის წინააღმდეგ. სანამ დაიწყება გამოკითხვა მიიღოს განმარტება მისთვის მინიჭებულ უფლებებზე, მათ შორის რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 50- ე მუხლით (პირი, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მოწმე). გამოკითხვის წინ გამოკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკითხი პირი უარს ან თანხმობას განაცხადებს გამოკითხვაზე, ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. თუკი გამოსაკითხი პირი დათანხმდა მხარეს გამოკითხვაზე, პირი ვალდებულია საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ მიაწოდოს სწორი ინფორმაცია. გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხი პირი წერილობით გააფრთხილოს ცრუ დასმენისათვის გათვალისწინებულ დანაშაულზე

¹⁷თ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ.296

და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის გათვალისწინებულ დანაშაულზე, მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც გამოკითხვის ოქმში აღინიშნოს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდების მხარე აწარმოებს გამოკითხვას და გამოსაკითხმა პირმა უარი განაცხადა გამოკითხვაზე, მაშინ ბრალდების მხარე უფლებამოსილია გამოსაკითხ პირს განუმარტოს, რომ ის შეიძლება დაბარებული იყოს მაგისტრატ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად, ამ შემთხვევაში ჩვენების მიცემა უკვე სავალდებულოა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული სამართლის ნორმის გაცნობის შემდგომ ერთი შეხვედით გაგვიჩნდება აზრი, რომ დაცვის მხარე არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება ბრალდების მხარესთან, მაგრამ თუ გავანალიზებთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ბრალდების მხარეს ამის უფლება ნამდვილად უნდა ჰქონდეს, რადგანაც ის ბრალდების მხარეა, საქმის სრული ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ჩატარება, დანაშაულის გახსნა, დამნაშავის დადგენა მას ეკისრება, რაც ხაზს უსვამს კიდევ ერთხელ ბრალდების მხარის მიერ გამოძიების ობიექტურად ჩატარების აუცილებლობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, თუ კოდექსი ბრალდებულის მიმართ გამოკითხვის წესების (სსკ 113-ე მუხლი) დებულებებისაგან წესს არ ადგენს, ამ მუხლში აღნიშნული დებულებები მასზეც ვრცელდება. გამოკითხვის პროცესში შესაძლებელია იქნეს გამოყენებული გამოსახულების ან ხმის ჩამწერი ტექნიკური საშუალება, რის შესახებაც წინსწარ გამოკითხვის დაწყებამდე უნდა ეცნობოს პირს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს გამოკითხვის ოქმის შედგენას და მის კანონთან შესაბამისად დაფიქსირებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამოკითხვის ოქმში უნდა აღინიშნოს გამოსაკითხი პირის საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა,

საქმიანობა, ან/და თანამდებობა, განათლება, სამუშაო ადგილი, სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, მისი ურთიერთობადაზარალებულთან, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი, აგრეთვე, ის აუცილებელი რეკვიზიტები, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლშია გათვალისწინებული, კერძოდ, რომ გამოკითხული პირის მიერ მოცემული განმარტება ნებაყოფლობითია, რომ ის გაფრთხილებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე და 370-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. თუ გამოსაკითხმა პირმა ბრალდების მხარეს განმარტება არ მისცა, ბრალდების მხარე გაფრთხილდება იმის შესახებ, რომ ის შესაძლებელია დაბარებულ იქნას მაგისტრანტ მოსამართლესთან და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში თუ ჩვენების მიცემაზე უარს განაცხადებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, თუ დაცვის მხარე მოითხოვს გაეცნოს იმ ინფორმაციას, რომელიც ბრალდების მხარემ მტკიცებულებად სასამართლოში უნდა წარადგინოს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ვალდებულია, ანალოგიურად გადასცეს დაცვის მხარეს ის გამამართლებელი მტკიცებულებები, რომელიც მას გააჩნია.

მას შემდეგ, რაც დაცვის მხარის დაკმაყოფილება მოხდება, შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან ის ინფორმაცია მიიღოს, რომლის წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს სასამართლოში მტკიცებულების სახით.

ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის, თუ არ მოხდება არსებული მასალის სრული მოცულობით მხარისთვის გადაცემა, იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

მართალია, გამოკითხვის ოქმი მტკიცებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ მხარეები ვალდებულები არიან ერთმანეთს ყველა გამოკითხვის ოქმი სხვა მტკიცებულებებთან ერთად გადასცენ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ითვლება, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით.

ჩემი აზრით, გამოკითხვის წესების ასეთი რეგულაცია შეესაბამება შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპს. მხარეებს უკეთ ეცოდინებათ, თუ რა მტკიცებულებებს თუ ინფორმაციას ფლობს მოწინააღმდეგე მხარე.,

3.3 ჩხრეკა

ჩხრეკა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ და ინდივიდის უფლებებთან მტკივნეულად დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა ახალის საპროცესო კოდექსის მიღებამდე და მიღების შემდგომ განვითარებული პრაქტიკის ანალიზი ჩხრეკასთან დაკავშირებით, რომელიც მთავარ პრობლემას წარმოადგენს. 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი (1998 წლის) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენდა მტკიცებულებების არსებობას ჩხრეკის საფუძვლად, თუმცა პრაქტიკაში ჩხრეკას ედო საფუძვლად მხოლოდ პატაკი (პოლიციის თანამშრომლის წერილობითი შეტყობინებამ, მის მიერ ოპერატიული ინფორმაციის ფლობის შესახებ) ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებასთან, რომლის მიხედვით მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნიდა ჩხრეკის საფუძველს.

ვერც ახალმა საპროცესო კოდექსმა ვერ მოახერხა ხარვეზიანი პრაქტიკის აღმოფხვრა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლით განისაზღვრა ჩხრეკის ცნება, რომლის მიხედვითაც, დასაბუთებული ვარაუდის

არსებობის შემთხვევაში, ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილი და ამოღებული იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი, საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

დასაბუთებული ვარაუდი ჩხრეკის ჩატარების საფუძველად განისაზღვრა. საპროცესო კოდექსი თავად განსაზღვრავს დასაბუთებული ვარაუდის ცნებას, როგორც ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რომ დაეშვა დანაშაულის შესაძლო ჩადენა პირის მიერ. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის გათვალისწინებულ მტკიცებულებათა სტანდარტს.

ნათელია, რომ დასაბუთებული ვარაუდისათვის აუცილებელია:

1. უკვე არსებული სისხლის სამართლის გარემოებები;
2. ფაქტების, ან ინფორმაციის ერთობლიობა;
3. ამ ორი ელემენტის ერთობლიობა, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ.

ინფორმაციის და ფაქტის კოდექსისეულ ცალკე განმარტებას კოდექსი არ გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოდექსის მიზნებისათვის მათ რაიმე დამატებითი ან განსხვავებული მნიშვნელობა არ გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად: ყურით გაგონილი, ვინმეს მიერ მოყოლილი ამბავი ან ტელევიზიით მოსმენილი ამბავი შეიძლება იყოს ინფორმაცია, ან ქუჩაში შემთხვევით ნანახი მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ფაქტად. თავისთავად შეიძლება იყოს ინფორმაცია, პოლიციელის პატაკი, სადაც ის კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაზე მიუთითებს. მაგრამ ეს მოცემულობა, ცალ-ცალკე არ ქმნის იმის საფუძველს, რომ ჩატარდეს ჩხრეკა, თუკი სახეზე არ არის ნიადაგი, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ სავარაუდოდ ამ პირმა ჩაიდინა

დანაშაული. პატაკი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის წერილობითი ინფორმაციაა, რაც ცალკე აღებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ვერ შექმნის.

თუ გავითვალისწინებთ იმ პრაქტიკას, რაც ძველი საპროცესო კოდექსის მოქმედებისას დამკვიდრდა და ახალი საპროცესო კოდექსის პირობებშიც აგრძელებს არსებობას, საინტერესო მსჯელობაა იმაზე, თუ რამდენად დასაშვებია, ზოგადად, ერთი ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარება და რა ხარისხის სტანდარტია საჭირო ჩხრეკის ჩასატარებლად.

წარმოგიდგინთ ევროპული სასამართლოს მიდგომას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში:

როდესაც ხდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ყოველთვის მსჯელობს იმაზე, იყო თუ არა ჩხრეკის ჩატარება გამოყენებული, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პროპურციული და საფუძვლიანი.

საინტერესო საქმეს წარმოადგენს *Keegan v. United Kingdom*,¹⁸ სადაც სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, პოლიციის მიერ განხორციელებულ ჩხრეკას, ედო თუ არა საფუძვლად, ნამდვილად იმის რწმენა, რომ სასამართლოს მიერ ნებადართული ჩხრეკა იყო აუცილებელი.

ამ საქმეში,¹⁹ ერთი შეხედვით, თითქოს ყველა ზომა იყო გამოყენებული პოლიციის მიერ, რომ დარწმუნებულიყო იმაში, რომ მოცემულ მისამართზე მართლაც

¹⁸ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Keegan v. United Kingdom*, 28867/03, 18 ივლისი, 2006 წ.

¹⁹საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: განმცხადებლებმა იქირავეს სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ლივერპულის ქალაქის საბჭოს. აღნიშნული საცხოვრებელი სახლი 6 თვის განმავლობაში იყო თავისუფალი, ხოლო წინა მფლობელი იყო ანიტა დე ლა კრუზი. ამ პერიოდში განხორციელდა ძარცვის არაერთი ფაქტი, სადაც პოლიციის მიერ ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იყო დინ დე ლა კრუზი, ანიტა დე ლა კრუზის შვილი. პოლიციისათვის ცნობილი გახდა, რომ დინ დე ლა კრუზი ხშირად იძლეოდა იმ სახლის მისამართს, სადაც განმცხადებლის ოჯახი ცხოვრობდა; მისი ნერწყვი, რომელიც

სავარაუდო დამნაშავე ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, პოლიციას ჰქონდა დასაბუთებული ვარაუდი (არაერთი ინფორმაცია და ფაქტი მიუთითებდა ამის შესახებ). მაგრამ თავისი გადანწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ საწინააღმდეგო დაადგინა.

ამ გადანწყვეტლებით ნათელი ხდება, რომ მიხედავად იმისა, რომ არსებობდა ყველა საფუძველი ჩხრეკის ჩასატარებლად, თუ ჩატარებული ჩხრეკა არ არის პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მაშინ საქმე გვაქვს პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვასთან. სასამართლოს გადანწყვეტილებით თვალსაჩინო გახდა, თუ რა შეიძლება იყოს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული - საჯაროობა იმ მასშტაბით, რომელიც პირის (მითუმეტეს, რომელიც არ არის ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში) პროფესიულ რეპუტაციას ზიანს აყენებს.

გემოაღნიშნული პრეცედენტების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი სტანდარტი :

- ჩხრეკის ჩატარების წინ უნდა უძღვოდეს პოლიციის მიერ განხორციელებული ყველა შესაძლო ღონისძიება, რომ ობიექტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით გამოირიცხოს შეცდომა.

- ბოროტი განზრახვის არსებობაზე - არ არის იმის განსაზღვრა, გაუმართლებლად შეზღუდა თუ არა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება შეცდომით ჩატარებულმა ჩხრეკამ. აღნიშნული ობიექტურ მხარეზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მიმართა პოლიციამ ჩხრეკის ჩატარებამდე ყველა შესაძლო ზომას, შეცდომის დაშვების რისკის

ამოღებულ იქნა ძარცვის შემდეგ მითვებულ მანქანაში დარჩენილი მოსასხამიდან, შესაბამებოდა ანიტა დე ლა კრუზისასდა ეს უკანასკნელი კი, ამომრჩეველთა სიაში ასევე რეგისტრირებული იყო ზემოთ მითითებულ მისამართზე. პოლიციამ ამ ფაქტის საფუძველზე დაასკვნა, რომ ამ სახლში ერთ-ერთი მძარცველი ცხოვრობდა და აქვე ნაძარცვიც უნდა ყოფილიყო შენახული. აღნიშნულის საფუძველზე, პოლიციამ მიმართა სასამართლოს და გამოითხოვა სახლის ჩხრეკის ორდერი.

მინიმუმადე დაყვანის მიზნით გადაემონწმებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოცემულ ადგილას მოცემული საგნის არსებობის შესახებ.

-პირად ცხოვრებაში ჩარევის პროპორციულობა დაცული, რომ იყოს, ჩხრეკის ღონისძიება გონივრულად უნდა შეიზღუდოს სხვადასხვა ფაქტორით. ეს საკითხი განხილულ უნდა იქნეს ჩხრეკის საფუძვლებისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ჩხრეკის ლეგიტიმური საფუძვლების არსებობის პირობებშიც, თუ დაცული არ იქნება ჩარევის პროპორციულობა.²⁰

3.4. ამოღება

ამოღება საგამოძიებო მოქმედებაა და იძულების ღონისძიების ხასიათს ატარებს, რადგან ადამიანის ფუნდამენტური უფლებები იზღუდება მისი ჩატარებით, დაცული და გარანტირებული ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებით და საქართველოს კონსტიტუციით.

სასამართლო კონტროლს ექვემდებარება ამოღება. არსებობს სასამართლო კონტროლის ორი ფორმა :

ა) წინასწარი ანუ „სანებართვო“

ბ) შემდგომი ანუ „შემონწმებითი“

წინასწარი ანუ „სანებართვო“ სასამართლო კონტროლი გულისხმობს მოსამართლის (სასამართლო) განჩინების მიღებას წინასწარ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე, შემდგომი ანუ „შემონწმებითი“ სასამართლო კონტროლი გულისხმობს მოსამართლის (სასამართლო) განჩინების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

²⁰საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, თბ. 2012

კანონიერების საკითხის შემოწმების მიზნით,საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, კონონით დადგენილ წესით და ვადაში შესაბამისი მასალების წარდგენას მოსამართლისთვის (სასამართლოსთვის).

ამოლება მტკიცებულებათა მოპოვებისკენ არის მიმართული. ამოლება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე ტარდება. ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ: საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერება, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგანი, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

მხოლოდ ბრალდების მხარე, ანუ გამომძიებელი და პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში სარგებლობს ამოლების უფლებით.

ამოლება არის პროკურორის ან გამომძიებლის მიერ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის, საგნის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის იმ პირისათვის ჩამორთმება, რომელთანაც მათ ძებნა საჭირო არ არის, რადგან მასთან ინახება.

პირს უნდა ჩამოართვან ან ამოიღონ, ამოლების დროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი, საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მისი ძებნა საჭირო არ არის და ისინი ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან.

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების (წინაპირობების) არსებობა საჭიროა ამოლების ჩატარებისთვის.

ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება ამოლების ჩატარების დასაბუთებული ვარაუდი, რომ საგანი,დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან და მისი ძებნა არ არის საჭირო.

ამოღების სამართლებრივი საფუძვლებია :

ა) ამოღების ჩატარების შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) განჩინება;

ბ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება ამოღების ჩატარების შესახებ;

გამომძიებელს ან პროკურორს შეუძლია ჩაატაროს ამოღება. იმისათვის, რომ ამოღების ჩატარება დაიგეგმოს, ამოღების ობიექტის ძებნა საჭირო არ უნდა იყოს, ანუ ზუსტად უნდა იყოს დადგენილი:

ა) ამოღების ჩატარების ადგილი;

ბ) ამოსაღები ობიექტი;

მაგალითად, მონშის ჩვენება მტკიცებულებაა, რომელიც იძლევა ინფორმაციას, რომ საგანი, რომელიც გაიტაცა შეინახა მეგობრის სარდაფში და ასახელებს მისამართს.

ამოღების ადგილის წინასწარ დადგენაში ყოველთვის არ იგულისხმება ამოსაღები ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობის წინასწარი ცოდნა. მაგალითად, თუ ამოსაღებია დანესებულების საბუღალტრო დოკუმენტაცია, წინასწარ არ არის აუცილებელი ვიცოდეთ, თუ, რომელ სართულზე და რომელ ოთახშია ამოსაღები დოკუმენტაცია. მთავარია გარკვეული იყოს, რომ კონკრეტული დოკუმენტაცია დანესებულების ოფისში ინახება.

მხოლოდ ადგილმდებარეობა არ კმარა იმისათვის, რომ მოხდეს საგნის ამოღება. ადგილმდებარეობასთან ერთად წინასწარ უნდა იყოს გარკვეული საგნის ინდივიდუალური ნიშნები, რომ ჩატარდეს საგნის ამოღება. მაგალითად, ამოსაღებია მკვლელობის მცდელობის შედეგად დაზარალებულის ტანსაცმელი და წინასწარ ცნობილია, რა უნდა იქნეს ამოღებული. მაგრამ, თუ კონკრეტულად არ არის ცნობილი რა ტანსაცმელი უნდა იქნეს ამოღებული და ტანსაცმლის მხოლოდ სავარაუდო

აღწერილობაა ცნობილი და სავარაუდებელია დანაშაულის კვალი (სისხლი), მაშინ ტარდება ჩხრეკა.

იმისათვის, რომ მოხდეს დოკუმენტის ამოღება, არ არის აუცილებელი ინდივიდუალური ნიშნების და ამოსაღები დოკუმენტის ზუსტი რაოდენობის ცოდნა. საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოსაღებად ტარდება ამოღება და არა ჩხრეკა, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების ზუსტი დასახელება და ზუსტი რაოდენობა უნცობი იყოს. საკმარისია ამოსაღები დოკუმენტაციის ნიშნების ცოდნა, რასახისაა იგი და რომელი წლისაა.

შესაძლებელია, რომ ამოღება გადაიზარდოს ჩხრეკაში, თუ :

- ა) ამოღებისას ამოსაღები ობიექტის წარდგენაზე უარს განაცხადებენ, მათი ზუსტი ადგილსამყოფელის მითითებაზე და საჭირო გახდება მათი ძებნა;
- ბ) ამოსაღები არასრულად იქნა წარდგენილი;
- გ) სხვა დანაშაულის ნიშნებაგამოიკვეთა ამოღების დროს და წარმოიშვა სხვა ობიექტის ამოღების აუცილებლობა და მათ ნებაყოფლობით არ წარადგინენ.

სანამ ამოღება დაიწყება, გამომძიებელი საგამომძიებო მოქმედებაში ჩაბმულ მონაწილეებს ამონშებს, განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარებს წესებს. გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე ამოღების ჩატარება ღამით დაუშვებელია. გამომძიებელს (პროკურორს) უფლება აქვს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩინად შევიდეს საცავეში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში ამოღების ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი აუცილებლობაა, მაშინ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.

ამოღების დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია, იმ პირთან, რომელთანაც ტარდება ამოღება, გააცნოს სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი

აუცილებლობის შემთხვევაში - დადგენილება. გამომძიებლის დადგენილების ფაქტს პირი ადასტურებს ხელმოწერით.

გამომძიებელს უფლება აქვს, ამოღების ადგილზე მყოფ პირებს ამოღების დამთავრებამდე აუკრძალოს წასვლა, სხვა პირთან ან ერთმანეთთან ურთიერთობა, რაც ოქმში აღინიშნება.

განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დადგენილების წარდგენის შემდეგ იმ პირთან, რომელთანაც ამოღება ტარდება, გამომძიებელი სთავაზობს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. თუ ამოსაღები ობიექტი ნებაყოფლობით გადაეცა, მაშინ ეს ფიქსირდება ოქმში. ხოლო ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით.

ამოღების სპეციფიკური წესია დადგენილი დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან.

დაუშვებელია ამოღების ჩატარება დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში.

იმისათვის, რომ ჩატარდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, მის ან/და მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება, აუცილებელია თხოვნა ან თანხმობა ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მხრიდან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით ხდება დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის გამოთხოვა ამოღების ჩასატარებლად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ვალდებულია ესწრებოდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღების ჩატარების დროს. საპროცესო კოდექსის 120- ე მე- 9 ნაწილის საფუძველზე²¹, ასევე უნდა ესწრებოდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი.

დაუშვებელია მასმედიის გამომცემლობის რედაქციაში, რელიგიურ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პოლიტიკური პარტიის საცავებში არსებული იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო ობიექტის ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება, რომლის მიმართაც არსებობს საჯაროდ გავრცელების გონივრული მოლოდინი.

თუ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დანაშაულის საგანი ან იარაღია, მაგ შემთხვევაში ეს აკრძალვა არ ვრცელდება.

ჩხრეკის, ამოღების ან/და დაყადაღების შესახებ, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აშკარა და დამაჯერებელი დასაბუთება არსებობს, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება არ გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცული სინდისის, სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის, რწმენის ან თავისუფლების ხელყოფას. ეფექტურად და ამ უფლებათა ყველაზე მინიმალური შემზღვეველი ფორმით უნდა ჩატარდეს ეს საგამოძიებო მოქმედება.

საპროცესო კოდექსის 124- ე მუხლი აწესრიგებს ამოღებული ობიექტის დაბრუნების წესს. თუ ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი

²¹საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, თბ. 2012 www.nplg.gov.ge

სხვა ობიექტი, როგორც წესი, უბრუნდება იმ პირს, ვისგანაც იქნა ამოღებული, თუ გამომძიებელმა (პროკურორმა) სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა.

თუ მესამე პირი პრეტენზიას აცხადებს დაბრუნებულ საგანთან, დოკუმენტთან, ნივთიერებასთან ან ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტთან დაკავშირებით, დავა განიხილება სამოქალაქო წესით.²²

დასკვნა

ეს ნაშრომი მიეძღვნა 2010 წლის ოქტომბრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოძიებასთან და გამომძიებელთან დაკავშირებულ ცვლილებების სამართლებრივ ანალიზს და გამოძიებისა და გამომძიებლის საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით ორგანიზაციულ-პროცესუალურ საკითხებს. ასევე ნაშრომში განხილულია კოდექსის ძირითადი ახალი საკითხები, გამომძიებლის როლთან და გამოძიებასთან დაკავშირებით. ასევე გაკეთებულია შედარებითი ანალიზი ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან განხილულ საკითხებზე. ყურადღება ეთმობა გამომძიებლის დამოუკიდებლობის ხარისხის შესახებ განსახორციელებელ ცვლილებებს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია გააცნოს მკითხველს გამოძიების სტადიაზე გამომძიებლის ინსტიტუტის თეორიულ-სამართლებრივი საფუძველი, მიანოდოს ინფორმაცია შესავალში აღნიშნული საკითხების შესახებ, ასახოს არსებული პრობლემები და დასახოს მათი გადაჭრის გზები. ამ ნაშრომში, ასევე მოცემულია უცხო

²²სისხლის სამართლის პროცესი, მ. ლომსაძე, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 2016, გვ.186

ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზი და თითოეულ განსახილველ თემასთან დაკავშირებით ჩვენეული ხედვა. ჩემს მიერ ნაშრომში შემუშავებულია და წარმოდგენილია ის გზები, რომლებსაც საჭიროდ ვთვლი, რომ საქართველოში პროცესუალური და გამოძიების ორგანიზაციული დახვეწის მიზნით უნდა გატარდეს. დასაბუთებული მოსაზრებებია იმის შესახებ წარმოდგენილი, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს გამომძიებლის და პროკურორის სტატუსი, როლი, მათი დამოუკიდებლობის და საქმიანობის ხარისხი. მიმაჩნია, თუ წარმოდგენილი შეხედულებები და თემისები მხედველობაში იქნება მიღებული, სასიკეთო იქნება კანონმდებლობის განვითარებისათვის. ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითებია განხილული, რომელთა გამოცდილებაც არსებული ხარვეზების შესავსებად და ცვლილებების განსახორციელებლად გამოადგება ქართველ კანონმდებელს. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმების დახვეწისა და სრულყოფის პროცესს ხელს შეუწყობს აღნიშნული ნაშრომი, რაც ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი იქნება.

2009 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა პროკურორის უფლებები გაზარდა, რაც ასევე მოხდა მისი მოვალეობების დამძიმება. პროკურორი გახდა იმ საპროცესო მოქმედებების შესრულებაზე პასუხისმგებელი, რომლებიც ადრე გამომძიებელს ევალებოდა. ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გამომძიებელსაც ჰქონდა ზოგიერთი უფლება-მოვალეობა პროკურორთან შეთანხმებით, რაც პროკურორის საქმიანობას ამსუბუქებდა, რადგან შეეძლო გამომძიებლისათვის დაევალებინა გარკვეული მოქმედებების ჩატარება. დღეს ასეთი მოვალეობები მხოლოდ პროკურორს დარჩა, რაც საერთოდ უხსნის პასუხისმგებლობის გრძნობას საქმესთან დაკავშირებით და იწვევს მის გაზარმაცებას. დროულად და საფუძვლიანად უნდა მოხდეს ამ საკითხების გადახედვა, რომ გაიზარდოს გამომძიებლის უფლება-მოვალეობები. შესაბამისად

გამოძიების ხარისხიც აინვეს. კანონმდებლობის მიერ უნდა გადაიხედოს პროკურორისათვის მინიჭებული მოვალეობების რაოდენობა კანონმდებლის მიერ მისი შეკვეცის მიზნით იმ ფარგლებამდე, რომ მან შეძლოს მის წარმოებაში არსებულ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე სრულყოფილი კონტროლის განხორციელება. პროკურორმა უნდა უზრუნველყოს გამოძიებაზე პროცესუალური ხელმძღვანელობა და კონტროლი და საგამოძიებო მოქმედებებისგან განთავისუფლდეს, რაც დამატებით ტვირთად აწევს მას.

აუცილებელია გამომძიებლის პროფესიონალიზმთან დაკავშირებით სტანდარტმა აიწიოს საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით. ამით კანონმდებელს ექნება შესაძლებლობა, რომ არ შეემინდეს გამომძიებლისთვის საპროცესო უფლება-მოვალეობების დაკისრება. კანონმდებლის მიერპირის გამომძიებლად დანიშვნის საფუძვლებად უნდა დადგინდეს და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში გაიწეროს უმაღლესი იურიდიული განათლების ქონა, გამოცდების სავალდებულობა და სტაჟირება. დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ისეთი ინსტიტუტების არსებობა და მათთვის გამომძიებლის უფლებამოსილების მინიჭება მიმაჩნია საპროცესო კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, როგორცაა დეტექტივ-გამომძიებელი, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი და უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი, მათი დაკანონება მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ გამომძიებლის ინსტიტუტს იცნობს.

გამომძიებელი დამოუკიდებელი უნდა გახდეს, შეძლოს რიგი საპროცესო მოქმედებების დამოუკიდებლად განხორციელება და თავისი ინიციატივით და სახელით შეძლოს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა. პროკურორის ტექნიკური დამხმარე, თანაშემწე აღარ იყოს, რომელიც ის დღეს არის.

გამოძიების ორგანიზაციული და პროცესუალური თავისებურებების დასახვეწად კანონმდებლის მიერ უნდა განხორციელდეს რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ, გადასახედია და მისაღებია გადაწყვეტილებამრავალსუბიექტიანი საგამოძიებო ორგანოთა შემცირების მიზნით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიების ორგანიზაცია არასრულყოფილია და სასურველისგან საკმაოდ შორს დგას. ვფიქრობ, რომ არსებული ორგანიზაცია, სტრუქტურული მონყობა შსს-ში გამომძიებლის დამოუკიდებლობას ვერ უზრუნველყოფს. ცალკე არ ფუნქციონირებს გამოძიების დანაყოფი და მისი სტრუქტურები და შერწყმულია ოპერატიულ სამსახურებთან. აქედან გამომდინარე საგამოძიებო დანაყოფები უნდა გამოეყოს ოპერატიულ სამსახურებს პოლიციის ყველა დონის სტრუქტურებში, როგორც ცალკეული დამოუკიდებელი სამსახური. ამასთან დაკავშირებით უნდა შეიქმნას საგამოძიებო დეპარტამენტი, ხოლო მისი ხელმძღვანელი იყოს მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში. ვიმედოვნებ, რომ ამ ნაშრომში წარმოდგენილი საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები დახმარებას გაუწევს კანონმდებელს სრულყოფილად, დროულად და ობიექტურად განახორციელოს ამ მხრივ საჭირო ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 1995
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამომცემლობა „რაიზი“, თბ. 2017

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 2017
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2016
6. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მ. მამნიაშვილის, ჯ. გახოკიძის, ი. გაბისონიას რედ, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2013
7. გ. თუმანიშვილი „სისხლის სამართლის პროცესი“, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2014
8. ა. ფალიაშვილი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2014
10. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „თბილისი“, თბ. 1984
11. სისხლის სამართლის პროცესი, ა. ფალიაშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2002
12. სისხლის სამართლის პროცესი, მ. ლომსაძე, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ. 2016
13. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში“, თბ. 2012, www.nplg.gov.ge

14. ადამიანის ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები, ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს სახლი, 2013
15. თ.ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი,ზოგადი ნაწილი, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015
16. გ. თუმანიშვილი, შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015
17. გ. აბაშიძე, პროკურორი გამოძიების სტადიაზე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2012
18. ქრისტინ ვინგერტი, ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, 1993წ
19. დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა და მისი გამოცემული შრომები, გამომცემლობა „თბილისი“, 2009წ